ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“
8 ლარი
16 მაისიდან 30 მაისამდე




ოთხშაბათი, 25 მაისი, 2011 №122 (5503) ფასი: 30 თეთრი

# „ოქრუაშვილი სააკაშვილის კაცია!“



## ლევან გაჩეჩილაძე სახალხო კრებას შეუერთდა



გვ.2

## ნუგზარ წიკლაური ახალ სიმღერას ქმნის

გვ.3



## ირაკლი ოქრუაშვილი: მთელ საქართველოს ბოდიშს ვუხდი

გვ.3

## კახეთში ოპოზიციონერებზე ნადირობა დაიწყო




გვ.4



გვ.4

## რისი ეშინია ლევან ვეფხვაძეს

## ჯონდი ბაღათურია: „სახალხო დამცველის ანგარიშმა უმრავლესობა ნოკაუტში ჩააგდო“

გვ.3

## რას იტყვის გიორგი ტუღუში 14 ივნისს

გვ.5





გვ.2

## თუ ოქრუაშვილს არ აქვს საქართველოში დაბრუნების თავი, სხვას ნურაფერს დააბრალებს

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 სამართალდამცავები დამნაშავეებს საკადრის პასუხს მოსთხოვენ

3 არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სასამართლოში მიმდინარე რეფორმას გაეცნენ

4 იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ახალი მსმენელები ჩაირიცხა

6 ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა

## სამართალდამცავები დამნაშავეებს საკადრის პასუხს მოსთხოვენ

სახალხო კრების ერთ-ერთმა ლიდერმა, ლუკა კურტანიძემ საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოში, რამდენიმე წუთის წინ მანქანის სანომრე ნიშნები და საბუთები ჩააბარა, რომლებიც 2 დღის წინ ტელევიზიის წინ მომიტინგეებთან დაპირისპირებისას უცნობ პირებს დარჩათ.

ლუკა კურტანიძის თქმით, 22 მაისს მშვიდობიან მომიტინგეებს უცნობი პირები ხელკეტებით დაესხნენ თავს და ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

როგორც კურტანიძემ აღნიშნა, მომიტინგეების მხრიდან საკადრისი პასუხის შემდეგ, უცნობი პირები მიმდებარე ტერიტორიებიდან გაიქცნენ, ტელევიზიასთან კი ავტომანქანები დატოვეს. შემდგომი დათვალიერების შემდეგ, სახალხო კრების წარმომადგენლებმა მანქანებში ის სანომრე ნიშნები და საბუთები ნახეს, რაც უკვე ლუკა კურტანიძემ პოლიციას ჩააბარა.

მისივე თქმით, მას ეჭვი არ ეპარება პოლიციის ქმედითუნარიანობაში და იმედი აქვს, რომ სამართალდამცავები დამნაშავეებს საკადრის პასუხს მოსთხოვენ.

რაც შეეხება ტელევიზიის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას, იქ ჯერ ტაიმ-აუტია გამოცხადებული და ლიდერებს შესვენება აქვთ.

ინტერპრესნიუსი

## თუ ოქრუაშვილს არ აქვს საქართველოში დაბრუნების თავი, სხვას ნურაფერს დააბრალებს

„თუ ირაკლი ოქრუაშვილს არ აქვს საქართველოში დაბრუნების თავი, სხვას ნურაფერს დააბრალებს", — ეს განცხადება „მედიანიუსთან" საუბრისას სახალხო კრების წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა „ქართული პარტიის" საპასუხოდ გააკეთა.

როგორც ცნობილია, „ქართული პარტიის" ლიდერებმა პრესკონფე-



რენციაზე მედიას აცნობეს, რომ 25 მაისს ოქრუაშვილი საქართველოში აღარ ჩამოვა და არც ხვალისთვის დაგეგმილი აქცია გაიმართება. ამასთან, მათი თქმით, მათ თავდაპირველად, აქციის სახალხო კრებისგან დამოუკიდებლად ჩატარება იმიტომ გადაწყვიტეს, რომ „ნინო ბურჯანაძეს ირაკლი ოქრუაშვილთან გარკვეული ეჭვები ჰქონდა"

— როდესაც „ქართული პარტია" მოვიდა და გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი, ჩვენ გვქონდა მათთან შეხვედრები და კონსულტაციები. და თუ ოქრუაშვილს საქართველოში ჩამოსვლის თავი არ აქვს, სხვას ნურაფერს დააბრალებს. ჩვენთან თანამშრომლობა მათი ინიციატივა იყო. ჩვენ „სახალხო კრება" ჩვეულებრივ ვაგრძელებთ აქციებს, — განაცხადა ბათიაშვილმა.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძე: „ოქრუაშვილი სააკაშვილის კაცია!"

## ლევან გაჩეჩილა ე სახალხო კრებას შეუერთდა

ნათია ხურცილავა

**ირაკლი ოქრუაშვილის უარმა „სახალხო კრების" მოქმედების გეგმა ვერ შეცვალა, მაგრამ დიდი წყრომა კი დაიმსახურა.**

ოქრუაშვილი აცხადებს, რომ ამ საქმეს მაინც მიიყვანს ბოლომდე. თუმცა, გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო, ძალიან რთული იყო.

ირაკლი ოქრუაშვილის გადაწყვეტილება, რომ უარი თქვას თბილისში ჩამოსვლაზე, ნინო ბურჯანაძის შეფასებით, ლაჩრის და მხდალი ადამიანის გადაწყვეტილებაა.

— „ქართული პარტიის" გადაწყვეტილება, რომელიც აქციაზე გახმოვანდა, პრაქტიკულად სიურპრიზი იყო ჩემთვის. სამწუხაროდ, ის ეჭვები, რომელიც „ქართული პარტიის" რამდენიმე წევრთან დაკავშირებით მქონდა, განსაკუთრებით ბატონ კიწმარიშვილზე და ოქრუაშვილზე გავაკეთებ განცხადებას, დიახ, დადასტურდა, რომ ისინი ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. რატომ არის ამ გაუგებრობაში ბატონი სოზარ სუბარი, ეს თავად გადაწყვიტოს. მე მრცხვენია ოქრუაშვილის ნაცვლად. ბოლოს და ბოლოს კაცი თავდაცვის მინისტრი იყო, რა უნდა გაგიჭირდეს იმისთვის, რომ შენი სიტყვის პატრონი არ იყო და შენი მშიშრობა და ლაჩრობა ქალს გადააბრალო, მაშინ, როდესაც იცი, რომ არც აპირებდი ჩამოსვლას. არც ფიქრობდი იმ კომფორტული ადგილიდან ფეხის მოცვლაზე. ისევე, როგორც გვიცხადებდნენ 2009 წლის მოვლენების დროს, რომ აგერ არის ოქრუაშვილი და ახლა შემოვა. თუ უნდა, ჩამოვიდეს, მე რას მითანხმებს, მაგრამ თუ ამ ჩამოსვლის უკან დგას რამე კავშირი რუსეთთან, სამხედრო ძალასთან ან იარაღთან და ქვეყნის დესტაბილიზაციასთან, ჩვენ გავემიჯნებით ამ პროცესს. ნებისმიერ პროცესს გავემიჯნებით, რომელიც ქვეყნის გარედან იქნება მართული, რომელიც იარაღთან და სისხლის ღვრასთან იქნება დაკავშირებული. დიახ, ჩვენ დავსვით კითხვა გეგმებთან დაკავშირებით, რაზეც პასუხი ვერ მივიღეთ და ისეთივე ლაჩარმა ყოფილმა თავდაცვის მინსიტრმა, როგორიც სააკაშვილია, უკან წაიღო თავისი სიტყვები, რომელიც ხალხის მოსატყუებლად იყო. რა თქმა უნდა, ამან ნეგატიური მუხტი შეიტანა პროცესში, მაგრამ ამის მიუხედავად მტკიცედ ვიდგებით. — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ბურჯანაძე გუშინ საკმაოდ გაბრაზებული ჩანდა. მან ქართველ ხალხს დროული გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ხალხზე აცხადებს, რომ მიზეზები არ გამოელიათ, რომ გადაწყვეტილება მიიღონ.

— რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდა ხელი შეგვიშალონ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. დღეს და ხვალ საქართველოს ბედი წყდება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკან არ დავიხიოთ. თუ ეს ხელისუფლება დარჩა, გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, ვინც დღეს ვერ მოდიხართ აქციაზე. სააკაშვილზე უფრო საშიში არის გულგრილობა ან იმ მიზეზების ძებნა, რომელსაც ბევრი ჩვენი თანამემამულე ეძებს, რომ ჩვენ გვერდით არ იყოს. მიზეზები აღარ გამოელიათ. ხან ოპოზიცია არ მოსწონთ, ხან შეერთება არ მოსწონთ, სააკაშვილიც არ მოსწონთ. მიიღეთ გადაწყვეტილება, მოვუწოდებ ყველა ქართველს. დღევანდელი დღე განსაზღვრავს საქართველოს მომავალს. სირცხვილია ქართველები სოროებში რომ იყვნენ. დღეს ან ვცვლით საქართველოში რეალობას, ან საქართველოში ათეული წლების განმავლობაში არც დემოკრატია, არც თავისუფლება, არც გამთლიანება, არც ადამიანის ღირსება არ იქნება. — აცხადებს ბურჯანაძე.

**ნონა გაფრინდაშვილი:**

— „ქართული პარტიის" ნაწილი მოვიდა აქციაზე, პირდაპირ მიკროფონთან და ჩვენ გვერდით დგომა გადაწყვიტა. მათ კარგად შევხვდით. საბჭოში მოვითათბირეთ და განვაცხადეთ, რომ ჩვენ შორის კორდინირებული მოქმედება მოხდება. ძალიან გამიკვირდა, რომ ამ განცხადების მერე აქციაზე არ გამოჩნდნენ. რაც შეეხება „ქართული პარტიის" განცხადებას, ნახეთ, ვინ გააკეთა — კიწმარიშვილმა და სუბარმა. გაჩეჩილაძე, გუნცაძე იქ არ ჩანდნენ. იმედი მაქვს, რომ გაჩეჩილაძე აქ მოვა. მე პირადად ვაცხადებ, რომ ოქრუაშვილი და კიწმარიშვილი სახელისუფლო თამაშს თამაშობენ. ოქრუაშვილი რისი ჩამომსვლელია, მოკალათებულია პარიზში, აღებული ფულებით და იქიდან მოძღვრავს ყველას. ჩვენ ვემიჯნებით კონკრეტულად ოქრუაშვილს. ამაზე დიდი უსინდისობა არ არსებობს, გამოდიან და ჩვენ გვაბრალებენ, რას გვაბრალებენ გარდა იმისა, რომ კარგად შევხვდით. ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს და ამ გეგმიდან ვერ ამოგვაგდებს ვერავინ. თუ ვინმეს ხალხის გამოყვანა უნდოდა, გამოიყვანონ, ვინ უშლით. უნდათ, ჩვენთან მოიყვანონ, თუ არადა, რაც მეტი წინააღმდეგობის კერა იქნება, მით უფრო მალე მივაღწევთ მიზანს. ჩვენი მიზნები აბსოლუტურად სუფთაა. ეს არის ძალადობრივი რეჟიმის მოცილება და დემოკრატიული არჩევნების მოპოვება.

მოგვიანებით აქციას შეუერთდნენ ძმები გაჩეჩილაძეები და კოკა გუნცაძე. ლევან გაჩეჩილაძემ ხალხს სიტყვით მიმართა:

— მოვედი და სულ თქვენთან ერთად ვიქნები. გული არ მაძლევს იმის საშუალებას, ვიჯდე სახლში და თქვენთან არ ვიყო. დაპირისპირება, პირველობისთვის ბრძოლა კლავს ჩვენს სიძლიერეს. საქართველო უპირველეს ყოვლისა — ეს უნდა დავთესოთ ჩვენში. ვიყოთ მხნედ, შიში არ უნდა შემოგვეპაროს. — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

„სახალხო კრების" აქცია 25 მაისამდე არის მერიის მიერ სანქცირებული. მერიის განცხადებით მათ ნებისმიერ დროს გაუგრძელებენ სანქციას ნებისმიერ ადგილზე, გარდა იმ ადგილისა, სადაც აღლუმი უნდა ჩატარდეს.

— გადამწყვეტი არის ეს ღამე. დღეს უნდა გადაწყდეს თბილისელების შეგნებაში და უნდა ჩამოყალიბდეს ის, რაც არის 25 მაისთან დაკავშირებით. სუფთა ხელებით და წრფელი გულით ჩვენ ჩვენს გეგმას მიუყვებით. — განაცხადა გია ბურჯანაძემ.



გია კობახიძის განცხადებით, მან იცოდა, რაზე იყო კიწმარიშვილის განცხადება გათვლილი.

— როდესაც კიწმარიშვილი მოვიდა მიტინგზე და განცხადება გააკეთა 25 მაისს ავლაბრის მოედანზე შეკრებასთან დაკავშირებით, მე მაშინ ვთქვი, რომ 25 მაისამდე დრო გასავლელია. როდესაც მოდიხარ და განცხადებას აკეთებ, ფაქტის წინაშე არ უნდა დაგვაყენო. უნდა ეცნობებინა ჩვენთვის ან შეეთანხმებინა, რომ ჩვენ მიგვეღო გადაწყვეტილება — არის მისაღები თუ არა. ერთობა რომ მისასალმებელი და სასურველია, ეს ცხადია, მაგრამ არ უნდა გამოიყენო, როგორც საშუალება. ჩვენ ერთობას მივესალმეთ, ვინც არ უნდა იყოს, ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი, რაც უნდა ცუდი დამოკიდებულება ჰქონდეს კრების მიმართ, რომ მოვიდეს აქ და თქვას, რომ ხალხის გვერდით დგას, მას ამის უფლება და საშუალება მიეცემა, მაგრამ წესის დაცვა არის საჭირო. ეს წესი რომ არ იყო დაცული, უკვე კითხვის ნიშანი გაჩნდა. მე პირადად არ მჯეროდა ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლის.

კობახიძის განცხადებით, 26 მაისს ხელისუფლებამ აღლუმი არ უნდა ჩაატაროს. მას ამის უფლება არ აქვს.

— ხელისუფლებას არ აქვს უფლება, 26 მაისს აღლუმი ჩაატაროს. 26 მაისი დღესასწაულის დღე არის, მაგრამ ქვეყანაში არსებული ვითარება არ არის სადღესასწაულო. ჩვენ ტერიტორიები დაკარგული გვაქვს, ღირსება გვაქვს შელახული. განსაკუთრებით ამ ქვეყნის ხელისუფლებას. ყველაფერს უფლება უნდა და ყველა უფლებას მოპოვება უნდა. ამ ხელისუფლებამ 2008 წლიდან მოყოლებული ეს უფლება ვერ დაიბრუნა და არც არანაირი პრესპექტივა არ გააჩნია. ამ აღლუმის ერთადერთი დანიშნულება არის ის, რომ საკუთარი ხალხი დააშინონ ტანკებით, სამხედრო ტექნიკით, რომელიც სააკაშვილმა ომში ვერ გამოიყენა. — განაცხადა გია კობახიძემ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გამართულ აქციას ბათუმიდან ჩამოსული თემურ შაშიაშვილი და მურმან დუმბაძე შეუერთდნენ.

— ქართული სახელმწიფოს გადარჩენის საკითხი დგას აქ. ყოველდღე სახელმწიფოს საზღვარი ცოცავს. ჩამოდით ქალაქ ბათუმში და ნახავთ, რა ხდება. პირველი სართული გამოიშიგნა. პირველ სართულზე ქართულ საუბარს ვერ გაიგებთ. — განაცხადა მურმან დუმბაძემ.

თემურ შაშიაშვილის განცხადებით, ისინი ბათუმში დარჩებოდნენ და იქ ჩაატარებდნენ 26 მაისს აღლუმს, რომ არა „ქართული პარტიის" განცხადება.

— რამდენი წელია მესმის — მოდის ოქრუაშვილი და მეორე — გიორგაძე. თუ ბატონი გიორგაძე და ბატონი ოქრუაშვილი აკეთებენ ამ ხელისუფლების საქმეს, დიდი შეცდომა დაუშვიათ. ან ნუ იტყვით, ბატონებო, რომ მოდიხართ, ან თუ იტყვით, ჩამოდით. ეს იქნება კაცური. მე მზად ვარ დაჭერისთვისაც, მე მივდივარ ამ ბრძოლაში ბოლომდე. მზად ვარ იმისთვის, რომ სიცოცხლეც გავწიო. საქართველოში პოლიტიკოსები ერთმანეთს ვებრძვით და ვფიქრობთ, რომ ამ ბრძოლაში ვინმე გაიმარჯვებს გარდა ყველაზე მეტად დამარცხებული სააკაშვილისა. ჩვენი ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ სააკაშვილის სასარგებლოა. პოლიტიკოსის ავტორიტეტი საქართველოში განულდა. საქართველოს მოსახლეობაში დღეს თუ ვინმეს ავტორიტეტი არ აქვს, ეს პოლიტიკოსია ხელისუფლებაში თუ ხელისუფლების გარეთ. ეს არის ჩვენი ტრაგედია. — განაცხადა შაშიაშვილმა.

შაშიაშვილის განცხადებით 21-ე საუკუნეში აღლუმი ტანკებით არ უნდა ტარდებოდეს. აღლუმი ხალხის ერთიანობის დღე უნდა იყოს.

— ვიქნებოდით ბათუმში და ბათუმი აჩვენებდა დანარჩენ საქართველოს, რას ნიშნავს ნამდვილი აღლუმის აღნიშვნა ტანკით, ჯარისკაცებით თუ საერთო განწყობით, როდესაც ხალხი უნდა გაერთიანდეს. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ერთობის დრო დადგა. როდესაც რობერტ სტურუას ასეთი გამოსვლა იყო, როდესაც ოთარ იოსელიანი ასეთ სიტყვას ამბობს, როდესაც ჭაბუა ამირეჯიბი ასეთ განცხადებას აკეთებს, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ საქართველო ერთიანდება თბილისში, სააკაშვილი ყოფს საქართველოს თუნდაც იმითაც, რომ რამდენიმე პოლიტიკური ცენტრის არსებობას უწყობს ხელს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ერთი პოლიტიკური ცენტრი უნდა იყოს და ეს თბილისში უნდა იყოს. ვიღაცას თბილისი არ მოსწონს და ამიტომ პარლამენტი ქუთაისში უნდა გადაიტანოს. ეჭვი არ მეპარებაე თუ პრემიერ-მინისტრი გახდა სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრის აპარატს სხვა ქალაქში გადაიტანს. ისევ ბათუმს რომ დავუბრუნდეთ, ხმამაღლა მინდა ვთქვა, რომ ბათუმი არ ეკუთვნის ბათუმელებს. ბათუმში არსებობს ცოცხალი თურქის ქუჩა და ეს კაცი არის პრეზიდენტის დედის მეგობარი კაცი. მან ააშენა სასტუმრო „შერატონი". რასაც ვითმენთ, სირცხვილია. არ ვარგივარ მე? კი ბატონო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გიყვარდეთ სააკაშვილი. ვერ გაიგო სააკაშვილმა, რისი მფლობელია მისი დედა, რისი მფლობელები არიან დედამისის მეგობარი თურქები. — განაცხადა შაშიაშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ოქრუაშვილი: მთელ საქართველოს ბოდიშს ვუხდი

თეა მარხვაი ე

**დღეს საქართველოში დიდი დღე უნდა ყოფილიყო. ქართულმა პარტიამ პირობა მოგვცა, რომ სააკაშვილის რეჟიმს დღეს დაამთავრებდნენ. ამ რეჟიმისთვის წერტილის დასასმელად საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო ირაკლი ოქრუაშვილი.**

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ჩამოსვლასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გააკეთა. მან პირობა მოგვცა, რომ 25 მაისს დაამსხვრევდა მითს ვანო მერაბიშვილის უძლეველობის შესახებ.

გუშინ კი შევიტყვეთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა საქართველოში ჩამოსვლა გადაიფიქრა. ხელისუფლების დამთავრებაზე უარი თქვა ქართულმა პარტიამაც. შესაბამისად, მითი ვანო მერაბიშვილის უძლეველობის შესახებაც არ დამსხვრეულა. შესაძლებელია ეს სულაც არ არის მითი, ხოლო შს მინისტრი უბრალოდ ვანო კი არა, არამედ ივანე მრისხანეა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის განცხადების შემდეგ საქართველოში დიდი სამზადისი დაიწყო. მზადებას შეუდგნენ როგორც მისი ფანები, ასევე მოწინააღმდეგეები.

საგანგებო სამზადისზე გადავიდა ივანე მრისხანეს უწყება. ირაკლი ტყვივსკის დასახვედრად საქართველოს ყველა საზღვარზე, როგორც ამბობენ, სპეცდანიშნულების რაზმის წევრები გაამწესეს.

სხვა თუ არაფერი, ოქრუაშვილი ერთ დროს შს მინისტრიც იყო და ნამინისტრალს უბრალო პოლიციელებს ხომ არ დააჭერინებდნენ.

ადრე თუ ერი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზების მოფიქრებით იყო დაკავებული, ბოლო დღეებში ირაკლი ტყვიავსკის დაბრუნების გზებზე მსჯელობდნენ. ეს გზები ივანე მრისხანეს უწყებაშიც განიხილებოდა.

გავრცელებული ცნობით, ოქრუაშვილი საქართველოში სამხრეთ ოსეთიდან უნდა შემოსულიყო და როგორც ხელისუფლების მომხრეები ამტკიცებენ, მას რუსული ჯარიც უნდა შემოჰყოლოდა.

ალბათ ამის გამო ჩაკეტა ხელისუფლებამ ახალგორის მიმართულება. იქ არავის არ უშვებენ, იქედან ვინმეს შემოშვებაზე ხომ ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია.

მერე აფხაზეთის ვერსიაც გაჩნდა. ვიღაცამ თქვა, ოქრო სოჭში დადიოდაო. თუმცა ეს ვერსია უფრო ნაკლებსავა-



რაუდოდ იქნა მიჩნეული.

სამაგიეროდ, ეტყობა, სერიოზულ ვერსიად მიიჩნიეს სხვა ვერსია და ოქროს დასახვედრად ყვარლის რაიონში, საქართველო-დაღესტნის საზღვართან, ტყეში, შს სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი მიავლინეს.

სპეცრაზმელები დაღესტნიდან საქართველოში გადმოსასვლელ გზას აკონტროლებენ და როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, სპეცრაზმელები იქ ოქროს ელოდნენ.

ახლა მათ სახლში სუფთა სინდისით და მშვიდი გულით შეუძლიათ წამოსვლა. ოქრო საქართველოში ჩამოსვლას აღარ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ქართული პარტია ასე აცხადებს.

არადა, ამ დღეებში ქართული პარტიის წევრები მინიშნებებს აკეთებდნენ, რომ მათი ლიდერი უკვე საქართველოში იყო.

ახლა კი ქართულმა პარტიამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ამბობენ, რომ ოქრუაშვილს საქართველოში შემოსვლა მათ გადააფიქრებინეს. ოქროს ჩამოუსვლელობის მთავარი მიზეზი კი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით გაკეთებულ ქართული პარტიის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

— 21 მაისს სახალხო კრებამ და ნინო ბურჯანაძემ დაიწყეს აქცია, რომლის მიზანიც სააკაშვილის რეჟიმის სწრაფი დემონტაჟია. წარსულში არსებული დაპირისპირების მიუხედავად, ჩვენ, ქართულმა პარტიამ, აქციების დაწყების წინა პერიოდში არაერთხელ გამოვთქვით მზადყოფნა, რომ გაგვეერთიანებინა ჩვენი ძალისხმევა და ერთობლივად მიგვეღწია გამარჯვებისთვის, მაგრამ ერთობის მიღწევა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ჩვეულ ტერორს მიმართა მომიტინგეთა წინააღმდეგ, მივიღეთ სახალხო კრების აქციებთან მიერთების გადაწყვეტილება. ამასთან, კარგად გვესმოდა, რომ დიდხანს ქუჩაში დგომა გადამწყვეტი მოქმედების გარეშე, დამღუპველი შეიძლება ყოფილიყო. სწორედ ამიტომ გამოვაცხადეთ გადამწყვეტი ბრძოლის დღე და ადგილი — 25 მაისი, ავლაბრის მოედანი - ადგილი, საიდანაც ყველაზე ახლოს არის პრეზიდენტის რეზიდენცია. მას შემდეგ, 2 დღის განმავლობაში გვქონდა არაერთი მცდელობა, მომხდარიყო პოზიციების შეჯერება ნინო ბურჯანაძესთან, რაც, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა. 22 მაისს ბურჯანაძემ გამოაცხადა, რომ 25 მაისს სახალხო კრება სხვა ადგილას — თავისუფლების მოედანზე გამართავს აქციას. ამასთან, როგორც ნინო ბურჯანაძემ, ისე სახალხო კრების წარმომადგენლებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ მათ გარკვეული ეჭვები აქვთ ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ერთმანეთის პარალელურად ორი აქციის გამართვით საზოგადოებაში დაბნეულობას შევიტანთ, ამიტომ, მივიღეთ ჩვენთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება: ვაუქმებთ 25 მაისს ავლაბრის მოედანზე დაგეგმილ აქციას და, შესაბამისად, სახალხო კრებას და ნინო ბურჯანაძეს ხელს არ შევუშლით მათი გეგმების განხორციელებაში. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული პარტია“ ორგანიზაციულად არ მონაწილეობს სახალხო კრების 25 მაისის აქციაში, პარტიის ნებისმიერ წევრს აქვს სრული თავისუფლება, საკუთარი შეხედულების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება, მივა თუ არა ამ აქციაზე. ჩვენი პარტიის წევრებს და მთელ ქართველ საზოგადოებას ბოდიშს ვუხდით ამ გადაწყვეტილების გამო, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მორალური უფლება, საზოგადოებაში დაბნეულობა შევიტანოთ, რასაც აუცილებლად გამოიწვევს ორ ადგილზე აქციის გამართვა. და ბოლოს, განსაკუთრებით მძიმე იყო ირაკლი ოქრუაშვილის დარწმუნება, რომ უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე, მაგრამ ეს იყო ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა და ის იძულებული გახდა დამორჩილებოდა პარტიის პოზიციას. მიგვაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში ეს იყო მართალია ძალიან მძიმე, მაგრამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. „ქართული პარტია“ აგრძელებს ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე.

ეს განცხადება განსაკუთრებით მძიმე მოსასმენი იყო ოქრუაშვილის ფანებისათვის. ნაციონალებმა და კონსტრუქციულმა ოპოზიციამ კი ძალიან გაიხარეს და თავდაცვის ყოფილ მინისტრზე კიდევ ბევრი საზიზღრობა თქვეს.

ისე, საინტერესოა, ასეთი რამის თქმას პირში თუ გაუბედავენ ირაკლი ოქრუაშვილს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის რაიმე თანამდებობაზე იქნება.

საქართველოში დაწყებულ ვნებათაღელვას ირაკლი ოქრუაშვილიც გამოეხმაურა. მან ქართველი ერის სახელზე საგანგებო მიმართვა გამოაგზავნა, სადაც ქართული პარტიისგან ოდნავ განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. ის ერს ბოდიშს უხდის და გვპირდება, რომ სააკაშვილს აუცილებლად შეცვლის.

— ძალიან მიმძიმს ახლა საუბარი, დანა რომ დამარტყათ, სისხლი არ გამომივა. უკვე მეორედ ხდება ერთი და იგივე, როდესაც ხელი შემიშალეს საქართველოში დაბრუნებაში. ეს ერთხელ 2009 წლის მაისში მოხდა, როდესაც საქართველოს საზღვართან ვიმყოფებოდი და ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ უარყოფითად შეაფასა ჩემი საქართველოში დაბრუნება. ხელისუფლების რიტორიკა, რითაც ხალხს აშინებდნენ, თითქოსდა ცხინვალის გავლით, რუსული ტანკებით უნდა დავბრუნებულიყავი და პუტჩი მომეწყო, მყისვე აიტაცა ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა, რის გამოც ოპოზიციის გაერთიანება ჩაიშალა და იმედი მაქვს, ხალხი შესაბამის დასკვნებს გააკეთებს. მათი სურვილია ეს საქმე ჩემი ხელით გაკეთდეს და ხელი მე შემაწმინდონ, თანაც თვითონ სუფთა გამოვიდნენ ამ საქმიდან. ამის შემდეგ მე უშუალოდ მივიღებ გადაწყვეტილებებს, სხვების აზრის გათვალისწინების გარეშე. იმას, რაც დღეს ხდება, ერთი სიტყვით ღალატი ჰქვია, ხალხის ღალატი. მათ სინდისზე იყოს იმ ადამიანების ბედი, რომლებსაც მათი საქციელის გამო ხელისუფლება გააუბედურებს. მათთვის პოლიტიკა არის ბიზნესი და მეტი არაფერი. მე ამ საქმეს ბოლომდე მაინც მივიყვან და თუ ამას ვერ გავაკეთებ, სამუდამოდ წავალ პოლიტიკიდან. ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ჩათვალა, რომ გული ვატკინე. არაფერი არ დამთავრებულა, ყველაფერი წინაა, — ნათქვამია ოქრუაშვილის განცხადებაში.

## არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სასამართლოში მიმდინარე რეფორმას გაეცნენ



2011 წლის 24 მაისს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა. კოალიცია ''ევროპული საქართველოსთვის'' საბჭოს წევრებმა, რომლებიც თავადვე არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენენ, კონსტანტინე კუბლაშვილთან სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმაზე ისაუბრებენ.

კოალიცია ''ევროპული საქართველოსთვის'' 70-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის მიზანია საქართველოს დაახლოება დემოკრატიული ღირებულელების მქონე ევროპულ ქვეყნებთან.

## ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში ჩამოსვლას არც აპირებდა



პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერის ვალერი კვარაცხელიას განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლის ამბავი ბლეფი იყო, ისევე როგორც აშშ-ს საელჩოსთან „ონკანის გადაკეტვის“ მოთხოვნით გამართული აქცია.

„დღეს აქციას თაღლითი პოლიტიკოსები უდგანან სათავეში, რომელთაც მოქმედებების განსაზღვრული გეგმა არ გააჩნიათ,“ — განაცხადა კვარაცხელიამ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

**მედიანიუსი**

## ნუგზარ წიკლაური ახალ სიმღერას ქმნის

ნანა მიშელაშვილი



ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში რომ ვერ ჩამოვიდოდა, უმრავლესობის წევრები ბოლო პერიოდში განუწყვეტლივ საუბრობდნენ. მმართველი პარტიის წევრები ამბობდნენ, რომ მათ არ აინტერესებთ, სად არის ირაკლი ოქრუაშვილი და ვისთან კონტაქტობს ფაქსით ან იმეილით.

უმრავლესობის ერთერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მიერ გაჟღერებული გეგმები მათივე პოლიტიკური სიკვდილის წინასწარ გამოცხადებულ ქრონიკას ჰგავდა, ბოლო დღეების პროცესებმა კი ამ მხრივ, პირადად მის მოლოდინებსაც გადააჭარბა.

ნუგზარ წიკლაური ოქრუაშვილს ლაჩარს უწოდებს, თუმცა, ის ერთადერთი პოლიტიკოსი არ არის, ვინც თავდაცვის ექსმინისტრი ამ ეპითეტით მოიხსენია.

— პარიზში იქნება პოლიტიკური მასხარა და ლაჩარი, თუ თბილისში მყოფ მასხარებსა და ლაჩრებს შეუერთდება, აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ უპასუხისმგებლო და ექსტრემისტული პოლიტიკის დრო საქართველოში საბოლოოდ სრულდება და ამას თავად ქართველი ხალხი ასრულებს. დარწმუნებული ვარ, — აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

კიდევ ერთი, „ბელა ჩაოზე“ გუშინ პარლამენტში ისევ საუბრობდნენ, ოღონდ სხვა ინტერპრეტაციით.

— იტალიური სიმღერა რომელიც აქციებზე ისმის, „ნინო, ჩაოდ“ ტრანსფორმირდება და საქართველოში ცივილიზებული ოპონირების პროცესსა და არჩევნებს გაეხსნება გზა, — აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა ჟურნალისტებთან საუბარში.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იმაშიც დარწმუნებული არიან, რომ რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარებას ხელს ვერავინ შეუშლის. 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს აღლუმის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება ხელისუფლებამ კარგა ხნის წინ მიიღო.

გუშინ დილიდან პარლამენტის შენობის წინ სცენის აღმართვა დაიწყეს. პარლამენტის შენობაზე კი გამოფენილია ბანერები. ამ ბანერებს აწერია: „ანაკლია 2012 წელი“, „ქუთაისი 2012 წელი“ და „ბათუმი 2012 წელი“. ეს ის პროექტებია, რომლითაც ხელისუფლება ამაყობს.

## ჯონდი ბაღათურია: „სახალხო დამცველის ანგარიშმა უმრავლესობა ნოკაუტში ჩააგდო“



პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერი, პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდო ბაღათურია მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშმა საპარლამენტო უმრავლესობა ნოკაუტში ჩააგდო. როგორც მან ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე აღნიშნული დოკუმენტის განხილვისას განაცხადა, ანგარიში იმდენად ძლიერია, რომ მან უმრავლესობა ნოკაუტში ჩააგდო. ამის გამო მათ არც კი იცოდნენ, როდის განეხილათ ეს დოკუმენტი.

დეპუტატმა სახალხო დამცველს ანგარიშში პოლიტიკური პატიმრების თემაზე ყურადღების მეტად გამახვილებისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ „ქართული დასი“ მათ მონაცემთა ბაზას ამზადებს, რომელსაც ომბუდსმენს გადასცემს.

დეპუტატი აქვე გამოვიდა ინიციატივით, რომ კანონმდებლობაში ცვლილება შევიდეს, რომლის თანახმადაც, სამართალდამცავებს სახალხო დამცველის მიერ მიწოდებულ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დაევალებათ. ხოლო სახალხო დამცველმა გამოძიების მიმდინარეობის პროცესს უნდა გაუწიოს მონიტორინგი.

**მედიანიუსი**

## ალასანია საარჩევნო გარემოზე მოლაპარაკებების დასრულებას ითხოვს

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია მიმართავს სახელისუფლებო პარტიას, განახლდეს პოლიტიკური დიალოგი საარჩევნო რეფორმების კონკრეტული შედეგით დასასრულებლად.

როგორც მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, საარჩევნო რეფორმა იქნება ის პოლიტიკური ცვლილება, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში საშუალებას მისცემს მოქალაქეებს სამართლიან საარჩევნო გარემოში გააკეთონ თავისუფალი არჩევანი.

„ნათელია, რომ პოლიტიკურ ცვლილებებს ჩვენი ხალხის დაპირისპირებით, ერთმანეთის გაუტანლობით ვერ მივაღწევთ. პოლიტიკურმა ძალებმა მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ ერთმანეთს და გადავდგათ გაბედული ნაბიჯები პოლიტიკური შეთანხმებების მისაღწევად,“ — განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ ეს არის ის, რასაც ყველაზე მეტად ელოდება თითოეული მოქალაქე.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებასთან პოლიტიკური მოლაპარაკებების შანსი არსებობს და ამის დრო ჯერ კიდევ არის.

**მედიანიუსი**

# კახეთში ოპოზიციონერებზე ნადირობა დაიწყო

თეა მარხვაი ე

**საქართველოში ოპოზიციონერთა ხვედრი მ იმეა. განსაკუთრებით მ იმე დღეში რეგიონებში მცხოვრები ოპოზიციონერები არიან. ამის ნათელი დადასტურება ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებიც გახლავთ.**

ჩვენმა ცელქმა ოპოზიციამ 21 მაისიდან საპროტესტო აქციები დაიწყო. აქციების სეზონი სახალხო კრებამ გახსნა. ჩემპიონატში ქართული პარტიაც უნდა ჩართულიყო. ერთმაც და მეორემაც რეგიონებში სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ჩაატარეს და ადგილობრივი ორგანიზაციები შექმნეს.

ეს ღონისძიებები, ბუნებრივია, ჩვენს ხელისუფლებას უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მშობლიური კუდი და სოდი მათ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ყურადღება აქციების მოახლოებასთან ერთად გაათმაგდა.

აქციებმა მარტო ოპოზიციონერები არ ჩააგდო შავ დღეში. ხელისუფლების გადაწყვეტილებამ აბსოლუტურად აპოლიტიკურ ადამიანებსაც შეუქმნა პრობლემები. ამ დღეების განმავლობაში რეგიონებიდან თბილისში ჩამოსვლა შეუძლებელი იყო.

სამართალდამცავებმა „მარშრუტკების“ და ავტობუსების მძღოლები კატეგორიულად გააფრთხილეს თბილისში არ წასულიყვნენ. ხელისუფლება შიშობდა რეგიონებიდან დედაქალაქში ბევრი „აქციონერი“ ჩასულიყო. არადა, მშობლიური ხელისუფლება ამბობდა, რომ პროტესტის არ ეშინოდა.

ბუნებრივია, ეს ყველაფერი ამით არ დასრულებულა. ოპოზიციის მხარდამჭერებს 21-22 მაისს ლამის ბართლომეს ღამე მოუწყვეს. ამ მხრივ საკმაოდ მძიმე ვითარება შეიქმნა აჭარასა და კახეთში.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, რეგიონში ოპოზიციის მხარდამჭერებს მასობრივად აკავებენ. ამ დროისთვის ცნობილია 8 დაკავებულის ვინაობა. ზოგიერთ მათ-




განს სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

გავრცელებული ცნობით, რეგიონში ოპოზიციის 20-ზე მეტი მხარდამჭერია დაკავებული. ისინი დროებითი მოთავსების იზოლატორებში იმყოფებიან. ოპოზიციის ყველაზე ბევრი აქტივისტი ყვარლის და საგარეჯოს რაიონებში ჰყავთ დაკავებული.

სახალხო კრების საგარეჯოს კომიტეტის შეფიცულთა რაზმის ხელმძღვანელი გიორგი ყაველაშვილი საგარეჯოში 21 მაისს დააკავეს. ამავე დღეს საგარეჯოში, საკუთარ სახლებში დააკავეს სახალხო კრების საგარეჯოს რაიონული კომიტეტის წევრი გელა დილმელაშვილი და კონსერვატიული პარტიის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გია გურგენიშვილი.

21 მაისს, დილის 7 საათზე, გურჯაანში, საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს სახალხო კრების მხარდამჭერი გიორგი ფირალიშვილი. მთელი დღის განმავლობაში ოჯახის წევრებმა დაკავებულის ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იცოდნენ.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, სამართალდამცავებმა 57 წლის გიორგი ფირალიშვილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით შეუდგინეს, რაც სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობას გულისხმობს. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ექვს თვემდე, ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული — ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილმა ფირალიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა — 90 დღის ვადით პატიმრობა შეუფარდა.

22 მაისს ყვარელში სახალხო კრების ყვარლის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელი ოთარ ადომლიშვილი დააკავეს. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ყვარლის პოლიციის თანამშრომლებმა ოთარ ადომლიშვილი მაშინ დააკავეს, როცა ის თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე დასასწრებად მხარდამჭერებს აგროვებდა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაკავებული ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფება. რას აბრალებენ ადომლიშვილს, ჯერ უცნობია. ადომლიშვილის დაკავების შესახებ რაიონულ პროკურატურაში კომენტარს არ აკეთებენ.

22 მაისს დააკავეს სახალხო კრების თელავის რაიონული კომიტეტის წევრი არჩილ ტაბლიაშვილიც. სასამართლომ მას სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ტაბლიაშვილს პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ადანაშაულებენ.

22 მაისს სამართალდამცავებმა დააკავეს სახალხო კრების გურჯაანის რაიონული კომიტეტის წევრი ტარიელ მელქოშვილი. დაკავების ოფიციალური მიზეზი ჯერ უცნობია.

23 მაისს ყვარლის პოლიციის თანამშრომლებმა ქართული პარტიის წევრი, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში მცხოვრები ზურაბ ასაბაშვილი დააკავეს. ასაბაშვილის დაკავების ოფიციალური მიზეზი ჯერ უცნობია.

— ზურაბ ასაბაშვილმა ტელეფონით მხოლოდ მისი დაკავების შესახებ ინფორმაციის მოწოდება მოასწრო, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ქართული პარტიის ყვარლის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მალხაზ ხიზანიშვილმა.

შს სამინისტროს რაიონულ სამმართველოებში ოპოზიციის მხარდამჭერების დაკავების ფაქტებზე არც კომენტარს აკეთებენ და არც ინფორმაციას გასცემენ.სასამართლო პროცესები, სადაც დაკავებულთათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ პოლიციის მუშაკთა შუამდგომლობები განიხილეს, 10-15 წუთს გაგრძელდა.

გიორგი ფირალიშვილისთვის 90 დღის ვადით პატიმრობის შეფარდების შესახებ დადგენილებაში მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილი განმარტავს: „აღნიშნული სამართალდარღვევა მთლიანად იქნა დადასტურებული წარმოდგენილი მასალებით. სასამართლოს მიაჩნია, რომ გიორგი ფირალიშვილის მიერ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დარღვევის ფაქტს, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობას. დადგენილების აღწერილობა არ იძლევა ინფორმაციას, რა კანონიერი მოთხოვნა გააჩნდა პოლიციის თანამშრომელს სამართალდამრღვევის მიმართ, რაში გამოიხატა მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, როგორი იყო სამართალდამრღვევად ცნობილი პირის პოზიცია.საქართველოს სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის განცხადებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი ე.წ. მუშა მუხლს წარმოადგენს“.

ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას ქმედებებს უწუნებენ. თუმცა ხელისუფლებისთვის ეს არაფერს ნიშნავს. ისინი ისე იქცევიან, როგორც ამას საჭიროდ თვლიან. ხმამაღლა კი ამბობენ, რომ კანონის შესაბამისად მოქმედებენ“.

## გასწორება

„ახალი თაობის“ 17 მაისის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ისტორიკოს ზაზა აბაშიძესთან, სადაც საუბარი იყო აფხაზური ეკლესიის შესაძლო აღიარებაზე. იქ საუბარია, რომ დედა ეკლესიის გარდა, აფხაზეთის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების უფლება აქვს კონსტანტინეპოლს. ნაცვლად ამისა, უნდა ყოფილიყო: „დედა ეკლესიის გარეშე ვერავინ ვერ მიანიჭებს ავტოკეფალიას აფხაზეთის ეკლესიას. თუ დედა ეკლესიამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ბუნებრივია, მისი აღიარება უნდა მოხდეს სხვა ეკლესიების მიერ. აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის კონსტანტინეპოლს“.

# იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ახალი მსმენელები ჩაირიცხა

2011 წლის 23 მაისს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალ მსმენელებს შეხვდა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იმავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც გახლავთ.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხულ ახალ მსმენელებს კონსტანტინე კუბლშვილი სასწავლო კურსის დაწყების წინ ყოველთვის ხვდება.

2011 წლის მაისის ბოლოდან სკოლაში სწავლას 6 მსმენელი შეუდგება, ესენი არიან ხატია არდაზიშვილი, გიორგი ბუხრაშვილი, გერონტი კახეთლიძე, ნათია მერაბიშვილი, ხათუნა ხარჩილავა და ვლადიმერ ხუჭუა.

მსმენელთა ჩარიცხვა სკოლაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე კონკურსის შედეგების შეჯამების შესედგად მოხდა.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა უკვე მე-7 ჯგუფი დაკომპლექტდა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლაში სწავლება და მისი წარმატებით დასრულება მოსამართლედ გამწესების მთავარი პირობაა.




# რისი ეშინია ლევან ვეფხვაძეს

ნანა მიშელაშვილი

ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე აცხადებს, რომ „ქართულმა პარტიამ“ გადაწყვიტა, ეს პროცესი უფსკრულისკენ მიექანება და ნინო ბურჯანაძეს უფსკრულში არ უნდა ჩაჰყვეს. ლევან ვეფხვაძე ვარაუდობს, რომ მარტო დარჩენილი „ქართული პარტია“ რაიმე სერიოზულ საფრთხეს ვერ შექმნის დღევანდელი ხელისუფლებისთვის. ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ „ქართული პარტიისა“ და სახალხო კრების ტაქტიკა, მაშინ, როდესაც ერთიანობაზე საუბრობდნენ სწორი იყო, თუმცა, ახლა უკვე იმას ნიშნავს, რომ მათ გაწირეს სახალხო კრება და ნინო ბურჯანაძე იმ იმედით, რომ თავად გახდებიან ამ ფლანგზე მთავარი ფლაგმანი.  „ახალი თაობა“ ლევან ვეფხვაძეს ესაუბრა:



***— „ქართული პარტიის“ მიერ დაანონსებული აქცია გადაიდო. 25 მაისს აპირებდა ჩამოსვლას ირაკლი ოქრუაშვილი. როგორ შეაფასებდით ყველაფერს?***

— ძალიან რთული სათქმელია, ეს იმ ადამიანებმა უნდა თქვან, ვინც ჯერ ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლა დააანონსა და შემდეგ გადადება. ფაქტია, რომ საბოლოო ჯამში, ეს მათ პოზიციებზე დადებითად არ აისახება. ირაკლი ოქრუაშვილმა როცა დააანონსა ჩამოსვლა, ეს იყო მოლოდინის გაჩენა, რომ შესაძლებელი იყო გარკვეული ადამიანები ქუჩაში სწორედ იმიტომ გამოსულიყვნენ, მათ აქციაზე ოქრუაშვილი დახვდებოდათ. მაგრამ ამის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ ისინიც კი, ვინც აქციებზე დადიოდნენ, თავს შეიკავებდნენ აქციაზე გამოსვლისგან.

***— 25 მაისს ქართული პარტიის აქციის გადადების მიზეზი ის ხომ არ არის, რომ ნინო ბურჯანაძე და ქართული პარტია ვერ შეთანხმდნენ, ვინ იქნება აქციების ლიდერი და ორგანიზატორი?***

— ჩემთვის გაუგებარია ამაზე ვერშეთანხმება. ჯერ ერთი, საუბარია რევოლუციაზე და არა მგონია, რომ ამ მოძრაობებს ცალ-ცალკე ჰქონდეთ საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ ეს რევოლუცია მოახდინონ. კითხვის ნიშანი ჩნდება გაერთიანების შემთხვევაში ექნებათ თუ არა ეს რესურსი, მაგრამ ცალ-ცალკე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს რესურსი მათ არ აქვთ. თავისთავად შეუთანხმებლობა ამ თემაზე ცოტა უცნაურად ჟღერს, იმიტომ, რომ ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივების თვალსაზრისით იმ სასიცოცხლო არტერიას იჭრიან, რომლითაც იკვებებიან როგორც პოლიტიკოსები. პრაქტიკულად, ამით აწერენ ხელს პოლიტიკურად სასიკვდილო განაჩენს.

***— ლევან გაჩეჩილაძისა და ნინო ბურჯანაძის საჯარო შერიგება მხოლოდ და მხოლოდ იმიტაცია იყო და მეტი არაფერი?***

— შერიგება იმ მომენტისთვის გარკვეული იმპულსური გადაწყვეტილება იყო, თუმცა, ტაქტიკური შეუთანხმებლობა მათ შორის არსებობდა. მე ვწუხვარ იმ ადამიანებზე, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ და საჯარო პოზიცია დააფიქსირეს და რამდენიმე დღეში ხელისუფლებასთან ერთი ერთზე დარჩებიან. არის საფრთხე, რომ ამ ადამიანებს გაუსწორდნენ, მათ შარი მოსდონ და ციხეში ჩასვან. მახსოვს, 2009 წელს, ჩვენ აქციებში მონაწილეობას არ ვიღებდით, თუმცა, ჩვენ გვიწევდა დაკავებული ადამიანების დაცვა.

***— როგორია თქვენი შეფასება თავად სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით?***

— ამ აქციებმა აჩვენა, რომ საკმარისი ადამიანური რესურსი სახალხო კრებას არ აღმოაჩნდა იმისათვის, რომ გარკვეული ცვლილებების პერსპექტივა დაგვენახა.

***— ესე იგი, საპროტესტოდ განწყობილ მოსახლეობას ოპოზიციის ნაწილმა იმედები ისევ გაუცრუა?***

— მე მგონი, იმედგაცრუების გამო თავის დროზე ხალხი ქუჩაში არ გამოვიდა. ახლა იმედგაცრუებას რაღა აზრი აქვს, ნინო ბურჯანაძეს ვერავინ დააბრალებს თუ ხალხი ქუჩაში არ გამოვიდა. თავის დროზე მოხდა იმედგაცრუება, ვგულისხობ 2009 წელს, ასევე იმ საგაზეთო დუელს, რომელიც ამ ორ ძალას ერთმანეთთან ჰქონდა. საბოლოო ჯამში, ამან იმედგაცრუება გამოიწვია და ამას ვწინასწარმეტყველებდით, რომ ამ ყველაფრის ფონზე ხალხის ქუჩაში გამოყვანა ძალიან რთული იქნებოდა.

***— ქართულმა პარტიამ 25-ის აქცია აქცია გადადოა, ისინი საპროტესტო მუხტს ისევ აწევენ?***

— როგორც ჩანს, მათ გადაწყვიტეს, რომ ეს პროცესი უფსკრულისკენ მიექანება და რატომ ჩაყვნენ ნინო ბურჯანაძეს უფსკრულში, ჩავიდეს ბურჯანაძე უფსკრულში და თავად დარჩებიან. არა მგონია, რომ მარტო დარჩენილმა „ქართულმა პარტიამ“ რაიმე სერიოზუ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# რას იტყვის გიორგი ტუღუში 14 ივნისს

ნანა მიშელაშვილი

**გუშინ პარლამენტს სახალხო დამცველი ესტუმრა. გიორგი ტუღუშს თითქმის 4 საათის განმავლობაში უსმენდნენ დეპუტატები. კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე გიორგი ტუღუშმა როგორც ოპოზიციის მხრიდან ისე უმრავლესობის წევრებისგან, მადლობა არაერთხელ დაიმსახურა.**

სამოქალაქო მამაცობისთვის სახალხო დამცველს მადლობა ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრმა გიორგი ახვლედიანმა გადაუხადა. 500 გვერდიან მოხსენებაში სახალხო დამცველი ყველა იმ საკითხს შეეხო, რასაც 2010 წელს ჰქონდა ადგილი.

სანამ ადამიანის უფლებებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებდა, სახალხო დამცველმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. მისი განცხადება აქციებზე ძალადობის საკითხებს შეეხებოდა.

სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში სახალხო კრების აქციებზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებების მხრიდან რეაგირებას ითხოვს. გიორგი ტუღუშის აზრით, ძალადობა არის ძალადობა და არ აქვს მნიშვნელობა ვინ ვის წინააღმდეგ იყენებს, ამიტომ ყველა ფაქტზე შესაბამისი რეაგირება უნდა მოხდეს და დამნაშავე დაისაჯოს.

— ჩემი წარმომადგენლები აქციის მონაწილეებსაც და დაკავებულებსაც გაესაუბრნენ. აქციის მონიტორინგი ამ წუთებშიც გრძელდება და ყველა ფაქტი ჩემს 2011 წლის ანგარიშში დეტალურად აისახება, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში სახალხო დამცველმა.

პატიმართა საკითხებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ სიტუაციაზე, დევნილების მდგომარეობაზე საუბრის გარდა, სახალხო დამცველმა კიდევ რამდენიმე საკითხზე ისაუბრა.

ომბუდსმენის საყვედური სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელობამ დაიმსახურა. საქართველოს სახალხო დამცველი ბავშვთა ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელს ურჩევს ომბუდსმენის მონიტორინგის მეთოდების ნაცვლად სისტემაში არსებულ პრობლემებს მიხედოს.

გიორგი ტუღუშმა ანგარიშის განხილვისას განაცხადა, ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელის მხრიდან ომბუდსმენის წინააღმდეგ 3-4 თვე „სრული ბოდვა" გრძელდებოდა, თითქოს ბავშვებს ფულს აძლევდნენ, რათა ინფორმაცია მიეღოთ.

— ფულის მიცემა არ არის საჭირო იმისთვის, რომ გაიგო, რა ხდება ბავშვთა სახლებში, როდესაც მათ საძინებელში ტემპერატურა ზამთარში 7 გრადუსია. ამის სათქმელად ჩვენ არც 10 ლარის მიცემა გვჭირდება ბავშვებისთვის, რაზეც ზოგიერთი მედიასაშუალების მხრიდან ცილისმწამებლური ინფორმაცია ვრცელდებოდა, — აღნიშნა ტუღუშმა.

დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ არასწორად მიწოდებულ ინფორმაციაზეც ისაუბრა. დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობა ამხილა, რომელმაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა, რომ 2010 წელს გარდაცვლილი პატიმართა რაოდენობა 72 იყო და არა 142.

დიმიტრი ლორთქიფანიძემ პოლიტიკურ თანამდებობის პირების მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი დასვა.

ლორთქიფანიძე ერთადერთი დეპუტატი არ არის, რომელიც ზოგიერთი თანამდებობის პირის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხს სვამს. იგივე საკითხი ცოტა ადრე ქრისტიან-დემოკრატებმაც დასვეს.

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. მისი განმარტებით, საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილ ფაქტებზე, სავალდებულო უნდა გახდეს საქმის აღძვრა და გამოძიება უნდა წარიმართოს ომბუდსმენის აპარატის მონიტორინგით.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, სახალხო დამცველის ანგარიშს იდეალურობამდე მხოლოდ ის აკლია, რომ ინდივიდუალურად იქნეს შესწავლილი თითოეული პატიმრის საქმე და მიენიჭოს სტატუსი. მისი თქმით, „ქართული დასი" ამზადებს პოლიტპატიმრების მონაცემთა ბაზას, რომელსაც სახალხო დამცველს გადასცემს.

ჯონდი ბაღათურიას აზრით, ომბუდსმენის ანგარიშმა ხელისუფლება ნოკდაუნში ჩააგდო და არც კი იცოდნენ, თუ როდის განეხილათ აღნიშნული დოკუმენტი.

რა საკითხები აინტერესებდა უმრავლეობას?

საპარლამენტო უმრავლესობა ცალკეულ უწყებებში გატარებულ ცვლილებებთან და მათ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის პირადი პოზიციით დაინტერესდა. უმრავლესობის წევრმა ხათუნა გოგორიშვილმა ტუღუშს სთხოვა დაეფიქსირებინა, რას ფიქრობს სასჯელაღსულებისა და პრობაციის სამინისტროში გატარებულ რეფორმებსა და ლტოლვილთა სამინისტროს პრიორიტეტებზე.



ხათუნა გოგორიშვილმა იკითხა მოქმედებები, რომელსაც ეს უწყებები ახორციელებენ სწორია თუ არასწორი? გიორგი ტუღუშმა სასჯელაღსრულების სამინისტროსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურის 80% გაუმჯობესდა და სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაში მყოფი დაწესებულებები არის, თუმცა, ჯანდაცვის კუთხით სავალალო შედეგებია. — რამდენიმე დაწესებულება რჩება, სადაც ადამიანების მოთავსება არ უნდა ხდებოდეს, — აღნიშნა სახალხო დამცველმა.

საკუთარი მოსაზრებები და პოზიციები აქვთ „ქრისტიან-დემოკრატებს". მათ სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით პარლამენტის მიმართ შვიდპუნქტიანი მოთხოვნა აქვთ. კერძოდ, ამ პარტიის წევრები მიიჩნევენ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი სამართალდარღვევის ფაქტები თავისი ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, პარლამენტისაგან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს, რაც სახალხო დამცველის ამ კონკრეტული მოხსენების არა მარტო ცნობად მიღებას, არამედ საპარლამენტო დადგენილების მიღებასაც გულისხმობს.

დადგენილებით კი, უნდა დაევალოს ქვეყნის შესაბამის სამართალდამცველ ორგანოებს, გამოიკვლიონ ანგარიშში მოყვანილი ფაქტები და გარემოებანი და მისცენ მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება. ქრისტიან-დემოკრატების აზრით, პარლამენტის დადგენილების პროექტში გათვალისწინებულ უნდა იყოს, რომ სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში მითითებული დანაშაულებრივი ფაქტების პრევენციის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას, დაევალოს გამოიკვლიოს ანაგარიშში მოხსენებული ფაქტები და გარემოებანი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ 2011 წლის 1 ივლისამდე საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარმოუდგინოს დეტალური ინფორმაცია სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში მითითებული დანაშაულებრივი ფაქტების შემოწმების შედეგად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ქრისტიან-დემოკრატები ითხოვენ, რომ საქართველოს უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანოებმა უზრუნველყონ სათანადო გამოძიება კოლექტიური ცენტრებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა არანებაყოფლობითი გამოსახლების ფაქტების, ასევე უზრუნველყონ კოლექტიური პრივატიზაციის სათანადოდ რეგულირება და გატარდეს ყველა აუცილებელი ზომა მომავალში იძულებით გადაადგილებულ პირთა არანებაყოფლობით გასახლების შემთხვევის არდასაშვებად.

ფრაქციის წევრები მიიჩნევენ, რომ საქართველოს უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საჩივრების სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება და უნდა აღძრან სისხლის სამართლებრივი დევნა ეჭვმიტანილ დამნაშავეთა წინააღმდეგ.

„ქრისტიან-დემოკრატების" მოთხოვნით, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ შესაბამისმა ორგანოებმა ზომები თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად. კერძოდ, გააუმჯობესონ დაკავების ადგილებში ჰიგიენური, კვებისა და საერთო პირობები და სათანადო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ თავისუფლებააღკვეთილ პირებს. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პატიმართა სიკვდილიანობის და წამების თითოეული შემთხვევის დაუყოვნებლივ გამოძიება.

ქრისტიან-დემოკრატების შეფასებით, სახალხო დამცველის ანგარიში ავლენს ბავშვთა უფლებების დარღვევის შემაშფოთებელ ფაქტებს და შესაბამისად, ითხოვენ, დაევალოს საქართველოს მთავრობას, „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს" ხელმძღვანელობის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმების დანერგვა და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე ზრუნვის თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული რეფორმის გატარება, რათა სისტემაში არსებული პრობლემები გადაიჭრას.

დეპუტატები ურჩი სამინისტროების საკითხითაც დაინტერესდნენ. კობა სუბელიანის უწყებამ პასუხების გაცემა მას შემდეგ დაიწყო, რაც სახალხო დამცველმა ამის შესახებ ქრისტიან-დემოკრატებთან სხდომაზე ღიად თქვა.

გიორგი ტუღუშმა ფრაქციაში 2010 წლის მოხსენების წარდგენისას განაცხადა, რომ სუბელიანის უწყებამ სახალხო დამცველის 60 წერილი უპასუხოდ დატოვა და თუ პასუხობს, არაადექტურად. „როდესაც ვეკითხებით ა-ს, გვპასუხობენ ბ-ს", — განაცხადა გიორგი ტუღუშმა რამდენიმე კვირის წინ ქრისტიან-დემოკრატებთან შეხვედრაზე. გუშინ კი სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სუბელიანის უწყებიდან 60 წერილიდან რამდენიმეზე პასუხი უკვე მიიღო და ეს ქრისტიან-დემოკრატებთან სტუმრობის შემდეგ მოხდა.

საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მოსმენის შემდეგ, სახალხო დამცველის ანგარიშს პარლამენტის სესიაზე მოუსმენენ. ომბუდსმენის ანგარიშს პლენარულ სხდომაზე 14 ივნისს მოუსმენენ.

# რისი ეშინია ლევან ვეფხვაძეს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ლი საფრთხე შექმნან დღევანდელი ხელისუფლებისთვის. მათი ტაქტიკა, მაშინ როდესაც ერთიანობაზე საუბრობდნენ სწორი იყო, თუმცა, ახლა უკვე იმას ნიშნავს, რომ მათ გაწირეს სახალხო კრება, ნინო ბურჯანაძე იმ იმედით, რომ თავად გახდებიან ამ ფლანგზე მთავარი ფლაგმანი.

***— ნინო ბურჯანაძე ოპოზიციის მთელი სპექტრისგან გარიყულია?***

— გარიყვა რა შუაშია, ამ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან საუბარია იმ ელექტორატზე, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის მშვიდობიან განვითარებაზე და არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაზე. ისინი ორიენტირებული არიან იმ ამომრჩეველზე, რომლებიც მზად არის ყველაფრის ფასად შეცვალონ ეს ხელისუფლება. ჩვენ საერთო ელექტორატი ვერ გვეყოლება, არც სადავო და საკამათო არაფერი არა გვაქვს. თუკი ადამიანები იკრებებიან მშვიდობიანად, ღია ცის ქვეშ, ან დარბაზში, ეს მათი გადასაწყვეტია, ეს არის მათი კონსტიტუციური უფლება. მთავარია, ეს არ გასცდეს იმ ფარგლებს, რასაც მშვიდობიანი შეკრების უფლება ჰქვია.

***— 26 მაისს სამხედრო აღლუმი რუსთაველზე გაიმართება. ქრისტიან-დემოკრატები ხელისუფლებას მოუწოდებდით, რომ რუსთაველის გამზირზე აღლუმი არ ჩატარებულიყო, რადგან დაპირისპირების საფრთხე არსებობდა. ეს საფრთხე ისევ არსებობს?***

— ჩვენ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ განვაცხადეთ, რომ არ გინდათ რუსთაველზე აღლუმის ჩატარება. ხელისუფლება როდესაც დააანონსებს აღლუმის ჩატარებას, ბუნებრივია არ შეცვლის ამ პოზიციას, რადგან მისი მხარდამჭერები ამას მის სისუსტედ მიიღებენ. 26 მაისი არის დღე, როდესაც შეიძლება ხელისუფლების პროვოცირება და ჩვენ 22 მაისს გამთენიისას ვნახეთ როგორი ადვილია ამ სიტუაციაში ხელისუფლების პროვოცირება. არც ერთი მხრიდან და არც მეორე მხრიდან მიზანი არ უნდა იყოს ცეცხლთან თამაში. ამას მე ყველას, მათ შორის ჩემს თავსაც ვეუბნები. ცეცხლთან თამაში შედეგად შეიძლება ის მივიღოთ, რომ ნაბან წყალს ბავშვი გადავაყოლოთ.

***— სახალხო კრების ორგანიზატორები 25 მაისს აქციის ჩატარებას თავისუფლების მოედანზე აპირებენ. არადა, 26 მაისს აქცია რუსთაველზე უნდა გაიმართოს. ამ შემთხვევაში როგორ განვითარდება პროცესები?***

— მე ვვარაუდობ, რომ 25 მაისს, ღამით, 26 მაისს, გამთენიისას გარკვეული შეხლა-შემოხლა მოხდება. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მშვიდად დამთავრდება და ადამიანთა დაპატიმრება არ გასცდება ადმინისტრაციულ ჯარიმებს.

# რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას საქართველოს საგარეო უწყება პასუხობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის კ. დოლგოვის განცხადებასთან გამოეხმაურა.

სააგენტო „ახალი ამბები — საქართველოს" შეკითხვაზე, რა შეფასებას მისცემდით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის კ. დოლგოვის 2011 წლის 23 მაისის განცხადებას? საქართველოს საგარეო უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ირაკლი ვეკუამ განაცხადა: „უკვე მერამდენედ, რუსეთის ოფიციოზი „ზრუნვას" იჩენს საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რომელსაც ის, 2008 წელს, უმოწყალოდ ბომბავდა და რომლის წინააღმდეგაც გეგმავს და ახორციელებს ტერორისტულ აქტებს.

აუცილებლად მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ საქართველოში უზრუნველყოფილია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, თბილისში შეუფერხებლად მიმდინარე აქციები სწორედ ამის დასტურია.

სასაცილოა, როდესაც ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ განცხადებებს აკეთებს იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი, სადაც ადამიანის უფლებები მუდმივად ირღვევა. ამ ქვეყანაში ადამიანების მიმართ სასტიკმა დამოკიდებულებამ შეუძლებელი გახადა მოსახლეობის მხრიდან პროტესტის რაიმე ფორმით გამოხატვა. ეს სწორედ ის ქვეყანაა, სადაც ჟურნალისტებს, ადამიანის უფლებების დამცველებს და ადვოკატებს ქალაქების ქუჩებსა და ციხეებში კლავენ. ადამიანის უფლებებზე საუბრობს იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელმაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაერთგზის მოაწყო ეთნიკური წმენდა და სწორედ ეთნიკური ნიშნის მიხედვით განდევნა ადამიანები როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ისე რუსეთიდანაც.

საბედნიეროდ, მსოფლიოში არც თუ ისე ბევრი სახელმწიფო დარჩა, რომელსაც არა აქვს მორალური უფლება ისაუბროს ადამიანის უფლებებზე და სიტყვის თავისუფლებაზე. მათ რიცხვს განეკუთვნება რუსეთის ფედერაცია".

ცნობისთვის: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გაავრცელა განცხადება, რომელშიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო დღეებში ოპოზიციის აქციების დარბევებსა და ადამიანის უფლებათა დარღვევებზეა ლაპარაკი.

**მედიანიუსი**

# კიევის სასამართლომ იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო

კიევის პეჩერის რაიონის სასამართლომ დაკავებული უკრაინის ექს-პრემიერის იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

ქვეყნის ყოფილი პრემიერი სასამართლოს გადაწყვეტილებით დღეს დილით პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს. გადაწყვეტილების მიზეზი კი, სასამართლოს წარმომადგენლის თქმით, ის გახდა, რომ იულია ტიმოშენკომ რამდენჯერმე შეაფერხა გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობა.

უკრაინის გენპროკურორის პირველი მოადგილის რონატ კუზმინის თქმით, იულია ტიმოშენკოს სახლში დღესვე გაუშვებენ და მისი ერთდღიანი დაკავება მხოლოდ გამოძიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში ქვეყნის ექს-პრემიერის წუნააღმდეგ სამი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მათ შორის, გაზის ხელშეკრულებებსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების შეძენასთან დაკავშირებული სკანდალები, რომელმაც უკრაინის პროკურტურის განმარტებით, დიდი ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას.

**მედიანიუსი**

# „თავისუფალი დემოკრატები" მოუწოდებენ ხელისუფლებას, არ დაშალოს მშვიდობიანი მომიტინგეები

„თავისუფალი დემოკრატები" მოუწოდებენ ხელისუფლებას, გამოიჩინონ თავშეკავება და გონიერება, არ გამოიყენოს ძალა და საპროტესტო აქციის მონაწილეებს მისცეს საშუალება ბოლომდე მშვიდობიანად გამოხატონ საკუთარი პოზიცია. როგორც ირაკლი ალასანიამ განაცხადა, აუცილებელია საპროტესტო აქციაში მონაწილეებს მიეცეთ საშუალება, უვნებლად რეპრესიების გარეშე დაუბრუნდნენ საკუთარ ოჯახებს. მისი თქმით, ამ დღეების განმავლობაში პოლიტიკური ნიშნით უსამართლოდ დაკავებული ადამიანების გათავისუფლება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სამოქალაქო თანხმობის გაჩენას. „თავისუფალ დემოკრატებს" ძლიერი ქვეყნის მშენებლობა ყველა თაობის, ეროვნების, აღმსარებლობისა და სოციალური წრის მოქალაქეების თანამონაწილეობით წარმოგვიდგენია. ჩვენ ერთად ვთხოვთ ყველა მოქალაქეს, მიეცეს სამართლიან გარემოში საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ჩვენი თანამოქალაქეების უფლებების დაცვას, თითოეული ადამიანის შესაძლებლობის გამოყენებას ემსახუროს ყველა პოლიტიკური ძალა, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებოა ის, თუ ოპოზიციური," განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

**მედიანიუსი**

საქმე №ა-2982-შ-81-10 — 14 მარტი, 2011 წელი. ქ.თბილისი

## სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი

**საქმის განხილვის ფორმა** — ზეპირი განხილვის გარეშე
**შუამდგომლობის ავტორი** — თამარა რიბაკი
**მოწინააღმდეგე მხარე** — ირაკლი იაშვილი

**გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს** — უკრაინის, ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენი

**დავის საგანი** — ზიანის ანაზღაურება

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი   ნ ა წ ი ლ ი:**

უკრაინის, ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ირაკლი იაშვილს დაეკისრა თამარა რიბაკის სასარგებლოდ 5350 გრივენის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა თამარა რიბაკმა და მოითხოვა დასახელებული განაჩენის თამარა რიბაკის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 სექტემბერს. მხარეებს ეცნობათ საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საქმის განხილვაში. აღნიშნული განაჩენი უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით თამარა რიბაკის შუამდგომლობა უკრაინის. ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით თამარა რიბაკის შუამდგომლობა უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის თამარა რიბაკის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება გაგზავნილ იქნა საქმეში მითითებულ მისამართზე — თბილისი, ჯანაშიას ქ.30, ბ.7, თუმცა მხარეს სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპოდენცია არ ჩაჰბარდა. სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო შეტყობინებიდან ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე ი.იაშვილი არ ცხოვრობს.

**ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ მხარისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეტყობინების მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას საჯარო შეტყობინება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე მხარეს სასამართლო კორესპოდენცია არ ბარდება, რადგანაც იგი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მითითებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ნაციონალური კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის $1^1$ ნაწლის გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით. ამავე კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საჯარო შეტყობინებისას სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. ამდენად, დასახელებული ნორმების საფუძველზე სასამართლო, მხარისათვის ცალკეული საპროცესო დოკუმენტების ჩაბარების მიზნით, უფლებამოსილია, გააკეთოს საჯარო შეტყობინება, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მხარის მისამართი სწორია, მაგრამ მხარეს სასამართლო შეტყობინება არ ბარდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 მარტის განჩინებით ირაკლი იაშვილს საჯარო შეტყობინების მეშვეობით ეცნობა, რომ თამარა რიბაკის შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით თამარა რიბაკის შუამდგომლობა უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის თამარა რიბაკის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილ მისამართზე მხარეს სასამართლოს გზავნილი ვერ ჩაჰბარდა, აღნიშნულიდან გამომდინარე, ირაკლი იაშვილს უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით — განჩინების გაზეთ "ახალ თაობაში" გამოქვეყნებით.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ს,,საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 78-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ეცნობოს ირაკლი იაშვილს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით თამარა რიბაკის შუამდგომლობა უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა.

ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცა აღსასრულებლად უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენი თამარა რიბაკის მოთხოვნის ნაწილში თანხის — 5350 გრივენის ირაკლი იაშვილსათვის დაკისრების შესახებ.

განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ ,,ახალ თაობაში".

აღნიშნული განჩინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინება ჩაითვლება ი.იაშვილისათვის ჩაბარებულად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გადაჩივრდება.

**მოსამართლე** **ნ.კვანტალიანი**

# წერილები ციხიდან



„მთლიანი საქართველოს" ლიდერი, პოლიტიკური პატიმარი ვლადიმერ ვახანია არამხოლოდ პოლიტიკურ მოღვაწეობას, შემოქმედებით აქტიურობასაც აგრძელებს. ბევრი სხვა პუბლიკაციებისა და გამოცემების ავტორი, ამჯერად უკვე საპყრობილედან კიდევ ერთ წიგნს სთავაზობს მკითხველს.

როგორ იკერებოდა ვახანიას საქმე, როგორ შეითხზა ხელისუფლების დაკვეთით ერთი აკადემიკოსის აგენტობის მორიგი ისტორია, როგორ მოხდა მის მიერ შემუშავებული ეკონომიკური განვითარების პროგრამის გაუჩინარება და რა კავშირი აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ გოროზიას ამ საქმესთან, როგორ გახდა საკუთარ ქვეყანაში ქველმოქმედება მისი პოლიტიკური დევნის საფუძველი და რა მიზნით აღმოჩნდა ის საბოოლოდ საპატიმროში. ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე წიგნში „წერილები ციხიდან"ავტორი დეტალურ ინფორმაციას აწვდის მკითხველს.

არის თუ არა ავტორის „წერილები ციხიდან" საზოგადოებისთვის განსაკუთრებული გზავნილი, აქვს თუ არა მას პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა სხვა, მხატრულ-ბუბიცისტური ღირებულებები, შეკითხვებით წიგნის ერთერთ რედაქტორს ალეკო გაბელიას მივმართეთ.

***— ბატონო ალეკო, იმ დეტალების გამოაშკარავებამ, რაზეც ავტორი საჯაროდ საუბრობს გამოიწვევს თუ არა მკითხველის განსაკუთრებულ ინტერსს, რა რეაქცია ექნება საზოგადოებას ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ?***

— აქ მხილებულია მის მიერ ყველა ის მაღალჩინოსანი, რომელთა დიდი ძალისხმევით ეს ადამიანი ხელისუფლებას მძევლად ჰყავს ციხეში. მკითხველისთვის ილუსტრირებულია მის მიმართ უკანონოდ განხორციელებული ქმედებების ამსახველი არგუმენტებიც. აქ გადმოცემულია ამ კაცის ტრაგიკული პოლიტიკური ბიოგრაფია. არ შეიძლება ეს წიგნი წაიკითხო და შემდეგ ვერ დაინახო ან არ შეგაწუხოს იმ რეალობამ, რომელიც ამ ხელისუფლებამ შექმნა. მე ამას არ ვამბობ, როგორც წიგნის რედაქტორი. მე ამას ვაჟღერებ ერთი რიგითი მკითხველის პოზიციიდან.

***— ერთი პატიმრის კონკრეტული ისტორია, რამდენად დააინტერესებს მკითხველის ფართო სპექტრს?***

— ეს არის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი გზავნილი საზოგადოებისთვის. მე მახსენდება ცნობილი ნორვეგიელი მხატვრის ედუარდ მიუნკეს ცნობილი ტილო სახელწოდებით „ყვირილი", სადაც ნახატის გმირი თავზე ხელებწაშენილი ყვირის... განგაშს გამოხატავს, მაგრამ იქ განგაშის მიზეზი არ ჩანს, ჩვენი სინამდვილეც იგივეა. განგაშია ეს წიგნი და მიზეზებზე კი ავტორი გვესაუბრება. გვეუბნება, რომ დემოკრატიის სახელით, კულისებში, ფარდის მიღმა საშინელება ტრიალებს. მისი წერილები არ შემოიფარგლება მხოლოდ ავტორის, ერთი კონკრეტული პრობლემის აღწერით. ავტორი საუბრობს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და ასევე ამ პრობლემების გადაჭრის რეალურ გზებზეც. რამდენიმე მისი წერილი ერთგვარი სტრატეგიად, სამოქმედო გეგმადაც კი შეიძლება მოვიაზროთ, მისი ოჯახის წევრები პერიოდულად მიმართავდნენ საერთშორისო საზოგადეობას, სამართლიანობის აღდგენაში დახმარების თხოვნით. რასაც ბუნებრივია, მოჰყვა მათი შესაბამისი პასუხები და რეაქციებიც. რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის და ზრდის ამ წიგნის მნიშვნელობას. მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს არის ხმა ხალხისთვის, დაძახილი... ეს არის მიმართვა საზოგადოებისადმი.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ვახანიას „წერილები ციხიდან" მხოლოდ ამ კონკრეტულ სიტუაციაში იქნება აქტუალური, რამდენად აქტუალური იქნება ის გარკვეული პერიოდის შემდეგ, რა მხატვრულ-პუბლიცისტურ ღირებულებებზე შეგვიძლია ვისაუბროთ?***

— არავითარ შემთხვევაში... ამ-



საქართველოს გამთლიანებისა და ჩიხური სიტუაციიდან გამოყვანის შესახებ. ეს წიგნი ნებისმიერმა, საკუთარი ქვეყნის გულშემატკივარმა უნდა წაიკითხოს... ის არ საუბრობს მხოლოდ საკუთარ თავზე. ასეთი ხელისუფლების პირობებში ჩვენ ყველანი პოტენციური მძევლები, პოლიტიკური პატიმრები, ზვარაკები ვართ. ფაქტიურად, ეს არის ავტორის ყვირილი... ის საგანგებო მდგმარეობის შესახებ ამცნობს ხალხს...

***— როგორ ფიქრობთ, ეს იქნება მხოლოდ წერილები წერილებისთვის თუ წერილები შედეგისთვის, რა გავლენა ექნება მას მკითხველზე, წერილის უშუალო ადრესატებზე?***

— ამ კაცმა ეს წიგნი დაწერა და შედეგი საზოგადოებაში უნდა დადგეს. მისი მოვალეობა, როგორც მწერალმა, მოიხადა ქართველი ხალხის წინაშე. შედეგი დამოკიდებულია იმ საზოგადოებაზე, რომელიც ამას წაიკითხავს. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ის რაც აქ წერია, ეს მხოლოდ ბატონი ვლადიმერის ირგვლივ არ ხდება.

***— ავტორის წერილებს ჰყავს კონკრეტული ადრესატებიც...***

— ესენი გახლავთ ქვეყნის პირველი პირები, ავტორიტეტული პიროვნებები. ის მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყველა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს. შესულია ასევე მისი უწმინდესი და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისადმი მიწერილი წერილი. ეს გახლავთ წერილების ნაწილი, რომლითაც ავტორი და

ით დაიწერა ისტორია, რომელიც ნათლად ასახავს თუ როგორ ატყვევებდნენ ადამინებს პოლიტიკური ნიშნით. ამ წიგნის ღირებულებაც სწორედ ამაშია. ეს იქნება, ამ პერიოდის ერთგვარი მატიანე, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში კითხვადი და აქტუალური იქნება. ის აღწერს ამ ეპოქის უსამართლობას, რაშიც ჩვენ ამ ეტაპზე გვიწევს ცხოვრება. ბუნებრიავია, ეს თავის აქტუალობას არც მომავალში დაკარგავს. ავტორმა შექმნა წიგნი, რომელზეც თამამად შეიძლება ვისაუბროთ, როგორც მაღალხარისხიან მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაშრომზე.

***— ეს პირველი წიგნია ბატონი ვლადიმერის საპყრობილის პირობებში დაწერილი...***

— რამდენადაც მისი ოჯახის წევრებისგან ვიცი, ბატონ ვლადიმერს გართულებული ჯანმრთელობის ფონზე, სანთლის შუქზე უწევდა ამ წიგნზე მუშაობა. ამდენად იმ პირობებში, რა პირობებშიც ეს წიგნი დაიწერა, რა თქმა უნდა, მას კიდევ უფრო განსაკუთერებულ ინტერესს სძენს და დაფასებას იმსახურებს. თუმცა, იცით თქვენ, რომ თავისუფლებაზე მყოფი ვახანია, ბევრი სხვა ცნობილი გამოცემების, წიგნების და პუბლიკაციების ავტორი გახლავთ.

***— ბატონო ალეკო, ვლადიმერ ვახანიას აქვს რუსული განათლება, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში... იგრძნობოდა თუ არა მის ნაწერებში რუსული ენის გავლენა?***

— ვისაც ეს აინტერესებს შემიძლია ვუთხრა, რომ ვახანია წერს და აზროვნებს ქართულად.

## პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 6%-ით გაიზარდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, წინასწარი მონაცემებით, პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 6%-ით გაიზარდა.

როგორც გილაურმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ეს მხოლოდ წინასწარი მონაცემია, საბოლოო კი 1 თვეში გახდება ცნობილი.

„მთლიანი შიდა პროდუქტის წინასწარი მონაცემი 6%-იანი ზრდაა, რაც რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია", — აღნიშნა გილაურმა.

რაც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობას, პრემიერის აცხადებს, რომ 4 თვეში ექსპორტი 40%-ით გაიზარდა, რაც რეგიონში მაღალი მაჩვენებელია. კარგია ისიც, რომ ექსპორტი არა მარტო მაღალი ფასების გამოა გაზრდილი, არამედ იმიტომაც, რომ რეალურად გაზრდილია ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა, ასორტიმენტი და იმ ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც ქართული პროდუქცია გადის.

მისი თქმით, ბოლო პერიოდის განმავლობაში პირველად, 2010 წელს საქართველოში უმუშევრობა შემცირდა.

„მოგეხსენებათ, რომ უმუშევრობა ყოველწლიურად იზრდებოდა, თუმცა ახლა უკვე პოზიტიური ცვლილებები გვაქვს. თუ 2009 წელს ქვეყანაში უმუშევრების მაჩვენებელი 16,9%-ს შეადგენდა, 2010 წელს ის 0,6%-ით, 16,3%-მდე შემცირდა. დიდი წინსვლა არ არის, მაგრამ მაინც პოზიტიურია", — განაცხადა გილაურმა და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული მაჩვენებლის კლება მომავალშიც გაგრძელდება.გამყარდა.

**მედიანიუსი**

## ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა

მოსკოვში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის სერგეი ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, — იუწყება სააგენტო.

ექიმები, რომლებიც ბაღაფშის გადარჩენას ცდილობენ, რაიმე პროგნოზისგან თავს იკავებენ. მათი თქმით, უახლოესი სამი დღე კრიტიკული იქნება. ბაღაფშს ოპერაცია 21 მაისს რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ სამედიცინო ბიოლოგიური სააგენტოს საავადმყოფოში გაუკეთეს. მარჯვენა ფილტვზე ოპერაცია დაახლოებით 3 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. სამედიცინო ჩარევა წარმატებით დასრულდა და შემდეგ გადაიყვანეს ქირურგიულ განყოფილებაში, ოლონდ 23 მაისს ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და იგი სასწრაფოდ რეამინაციაში მოათავსეს.

პაციენტი შერთებულია ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე.

**მედიანიუსი**

# რა უნდა ოპოზიციას

გულიკო ბალა ე

**2003 წლის 23 ნოემბრის რევოლუციის წინა დღეს ედუარდ შევარდნაძეს სამეული — ჟვანია, ბურჯანაძე და სააკაშვილი შეხვდნენ. აღნიშნული შეხვედრა საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ ერთი რამ იგრძნობოდა — მიხეილ სააკაშვილი რაღაცით უკმაყოფილო იყო და შეხვედრიდან გამოიქცა.**

**შემდეგ ბევრი ითქვა და დაიწერა ამ შეხვედრის თაობაზე, მაგრამ ზუსტად არ თქმულა, რატომ განაწყენდა მაშინ სააკაშვილი. უბრალოდ, ყველა ხვდებოდა, რომ განაწყენების მიზეზი სააკაშვილისთვის ხელისუფლების გადაბარებაზე უარის თქმა უნდა ყოფილიყო.**

როგორც ითქვა, სააკაშვილისთვის ხელისუფლების გადაბარება არც იგეგმებოდა. 2003-ში გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს პასიურობა რომ არ გამოეჩინათ, ბურთი და მოედანი სააკაშვილისთვის არ დაეთმოთ, იქნებ ქვეყანა მრავალ უბედურებას ასცდენოდა. დღეს იმ სამეულიდან ერთ-ერთმა კვლავ რევოლუციური პროცესი წამოიწყო.

თუმცა, ახლა, როგორც ჩანს, რევოლუცია ვარდების აღარ იქნება. რევოლუციის დაანონსებისას ხელისუფლება მუდმივად საპასუხო რეაქციაზე ესაუბრებოდა ქართველ ხალხს — სახელისუფლებო ტელევიზიებით აჩვენებდა 1991-92 წლების სახელმწიფო-სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების ფაქტზე გადაღებულ ფილმებს, ანუ ოფიციოზი სისხლიან დაპირისპირებაზე მიანიშნებს, რაც იმას ნიშნავს, კარგად ნაჭამნასვამი, ნაპატივები, ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ხელისუფლება უსისხლოდ ძალაუფლებას არ დათმობს.

ოპოზიცია 2007 წლიდან მოყოლებული არაერთი აქციის ავტორია, მაგრამ არც ერთხელ რევოლუციურ პროცესებს მხარს არ უჭერდა. ახლა კი დროება შეცვლილია. უცხოეთიც აღარ წყალობს სააკაშვილს.

ტელევიზიასთან შეკრებილი ხალხი უკანდახევაზე და შეურაცხყოფის ატანაზე აღარ ფიქრობს და ზონდერების შემოსევებს იგერიებს. ახლა ნამდვილად ჯოხების რევოლუცია იქნება. ნინო ბურჯანაძემ თავისი პარლამენტისდროინდელი ტერმინი გაიხსენა. — არც ერთი ნაბიჯი უკან არ იქნება გადადგმული, — თქვა მან.

ვინც არ უნდა იყოს რევოლუციის ინიციატორი და ლიდერი, ფაქტი ისაა, რომ სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა ხალხი შესაძლო რევოლუციამდე მიიყვანა.

ზოგი ისეა ამ ხელისუფლებისგან გამწარებული (დევნილი თუ არადევნილი), რომ რევოლუციას სათავეში ვინ ჩაუდგება, აღარ აინტერესებს. მთავარია, სააკაშვილი და მისი ჯგუფი ხელისუფლებას ჩამოაცილოს.

სახალხო კრებამ და ნინო ბურჯანაძემ ამ ბრძოლას სახელიც მოუძებნეს, მას ნეობოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა უწოდეს.



ასეა თუ ისე, ორი დღეა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის წინ რევოლუციის მუქარით აქცია მიმდინარეობს.

შეფიცულებს დროშები უჭირავთ, რომლის ტარები თავის დაცვის კარგი საშუალება აღმოჩნდა.

მახსენდება ერთ-ერთი 26 მაისი და ზვიად გამსახურდიას მომხრეთა აქცია, სადაც მისი მონაწილეები დროშებითა და ჯვრებით შეიარაღებულები მოვიდნენ. იმ დღეს ის ჯვრები სპეცრაზმელებს მოხვდათ თავში და ვინ ვის ურტყამდა, გარჩევა შეუძლებელი იყო.

ახლა ხელისუფლება არა მარტო ჯოხებითა და ფარებით გამოდის, არამედ მომწამლავი გაზით, ჯოხებითა და (ჯერჯერობით, კისტის თოფით შეიარაღებული) რეზინის ტყვიებით უსწორდება აქციაზე მისულ ხალხს.

2003 წლის რევოლუციისაგან განსხვავებით, 21 მაისს დაწყებულ პროცესებს შესაბამისი საინფორმაციო უზრუნველყოფა აკლია.

აქციის ორგანიზატორები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების მიმართ.

გუშინ სახალხო კრების ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კობახიძემ განაცხადა:

— იგივეს იმეორებენ, იგივეს ატრიალებენ. ეს აღმაშფოთებელია, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია.

მიზეზი არის ერთი და მარტივი — ამ ქვეყანაში სისტემა არ შეცვლილა. რაც იყო კომუნისტების დროს — ერთმმართველობა — ის ერთმმართველობა დარჩა. ერთი კაცის, ერთი კლანის ან ერთი პარტიის ხელში როცა არის ყველაფერი თავმოყრილი, ხელისუფლების ყველა შტო, ბუნებრივია, იმ მეთოდებს გამოიყენებს, რაც კომუნისტების დროს იყო აპრობირებული კომუნისტებისა და ფაშისტების პერიოდში. ეს არის ის ტექნოლოგიები, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

ასე მუშაობდნენ ყოველთვის — დემაგოგია, დეზინფორმაცია, მსტოვრები, პროვოკაცია...

სახალხო კრების ლიდერები აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ მათი არაერთი მხარდამჭერი დააპატიმრა, თანაც რაღაც აბსურდელი ბრალდებებით.

როგორც გიორგი კობახიძე აცხადებს, ხელისუფლება უკვე იმ დონემდე დაეშვა, მისი მისამართით შეგინების გამო აპატიმრებს ადამიანებს. ასე ხდებოდა კომუნისტების დროს, 30-იან წლებში.

— ახლა ჩამოიტანეს ინფორმაცია — ხობში ასამართლებენ ერთ-ერთ ჩვენს მხარდამჭერს (შეიძლება გაასამართლეს კიდეც. დღეს არის დანიშნული სასამართლო). კაცი არის აყვანილი იმის გამო, რომ ხელისუფლების მისამართით იგინებოდაო.

მე მახსენდება კომუნისტების დრო, როცა ჩემი პარტიის წევრები უმისამართო გინებისთვის იყვნენ დაკავებული, მაგრამ მაშინ 5-7 დღეს აძლევდნენ ამისთვის.

უმისამართო ფურთხებისთვის იყვნენ დაკავებულები. ასე ჩაიწერა სასამართლო სხდომის ოქმში. დღესაც იგივე ხდება, — განაცხადა გიორგი კობახიძემ და აქციის მონაწილეები დაარიგა, — გთავაზობთ, ვაგინოთ პირდაპირ კადაფის, მუბარაქს, ფიდელ კასტროს, კიმირსენს, მაგრამ ვიგულისხმოთ ის, ვინც არის გინების ობიექტი.

გიორგი კობახიძის თქმით, მათი ამოცანაა სისტემის შეცვლა, სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაშვებით პრობლემა არ იხსნება.

— ჩვენ აჩემება არ გვაქვს ერთი კაცის, თუნდაც ამ კაცს მიშა სააკაშვილი ერქვას. ჩვენ ვებრძვით სისტემას. ჩვენი ამოცანაა სისტემის შეცვლა. მიშა სააკაშვილი ამ სისტემის თავია. ის ამ სისტემას კრავს. ხელისუფლების გაშვებით არ მთავრდება სახალხო კრების ბრძოლა.

სახალხო კრების ბრძოლის მთავარი ამოცანაა, ამ ხელისუფლების გაშვების შემდეგ ჩაატაროს სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც ყველა მიიღებს მონაწილეობას, ყველა დაინტერესებული მხარე. არჩევნები მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა ჩატარდეს, — თქვა კობახიძემ.

ხელისუფლებების არჩევნების გზით გაშვება ქართული სახელმწიფოს პრობლემაა.

გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებიდან შევარდნაძის არჩევნებით შეცვლა ქართველმა საზოგადოებამ ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ტრიუმვირატმა მოძებნა ხელისუფლების გადაბარების გზა.

შევარდნაძის წასვლის შემდეგ, 2004 წელს, ქვეყანაში თითქოსდა სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. „რევოლუციონერმა“ სააკაშვილმა, როგორც მისმა წინამორბედმა, არჩევნებით თავი გაილეგიტიმურა.

მას შემდეგ სააკაშვილი ისე ჩაებღაუჭა საპრეზიდენტო სკამს, რომ საზოგადოება რევოლუციაზე ალაპარაკდა.

კარგი იქნება თუ ეს ისტორია აღარ განმეორდება. მომავალში ისეთი ხელისუფლება მოვა, რომლის შეცვლაც არჩევნებით შესაძლებელი გახდება. მანამდე გასაკეთებელი კიდევ ბევრია, თუმცა, ერთი რამ ნათელია, სახალხო კრებამ და ნონა გაფრინდაშვილმა სააკაშვილს ქიში გამოუცხადეს.

# ბურჯანაძე სააკაშვილს არ გაურიგდება

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან



***— ქალბატონო ირინა, როგორ აფასებთ იმ ყველაფერს, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება და რამდენად ფეთქებადსაშიში სიტუაციაა?***

— მდგომარეობა იძაბება და სამწუხაროდ, მე პირადად ჯერ კიდევ მრჩება ეჭვი, რომ ამ დაძაბვაში დაინტერესებულია თვითონ ხელისუფლება, ოღონდ, რა თქმა უნდა, კონტროლის ფარგლებში. ამის თქმის საფუძველს მე მაძლევს 21 მაისს დაწყებული აქცია, რომელსაც აშკარად თვითონ ორგანიზატორებისავე აკლდა რაოდენობა, სახალხო კრების აქციებს ვგულისხმობ, რომელიც გაუგებარი მიზეზების გამო დაარბიეს. ანუ იყო მცდელობა დარბევის, შედარებით სუსტი დარბევის. აბსოლუტურად გაუგებარია ამ მინავლებული აქციის დარბევა ხელისუფლების მხრიდან, თუ მას არა აქვს ინტერესი, რომ აქციამ იქ ყოფნა განაგრძოს. შესაძლებელია მე ვცდები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება დარჩა. მე არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ იმას, რომ ნინო ბურჯანაძე გარიგებულია სააკაშვილთან. ერთადერთი, დღეს ვინც ბუნებრივი მდგომარეობით ვერ იქნება გარიგებული სააკაშვილთან, იმიტომ, რომ მას ამ გარიგებისგან უბრალოდ არაფერი არ შეხვდება სხვებისგან განსხვავებით, არის ბურჯანაძე. ეს ამიტომ არ ხდება.

***— რატომ არ გამართლდა ეს მოლოდინი, როგორ ფიქრობთ, სერიოზულად იმუშავა ხალხზე ხელისუფლებამ?***

— იცით რა არის, ხალხზე ძალიან სერიოზულად იმუშავა თვითონ ოპოზიციამ — აიწეოდა მუხტი, შემდეგ არ შესრულდებოდა ეს დაპირებები. ასევე იმუშავა იმ ფაქტმა, რომ გარკვეული უთანხმოება და მკვეთრი დაპირისპირებაც კი იყო ორ ძირითად პოლიტიკურ გაერთიანებას შორის. აქციაზე, რა თქმა უნდა, დადებითი მუხტი შეიტანა ქართული პარტიის ლიდერების მისვლამ, მაგრამ როგორც დავინახეთ, ესეც დროებითი აღმოჩნდა. ფაქტია, რომ ქართული პარტია არ ჩქარობს აქციაში ჩაბმას, მათ არავითარი სურვილი არა აქვთ, რომ გააძლიეროს ბურჯანაძე. ჯერჯერობით ესეც არ არის საკმარისი, იმიტომ, რომ ხალხი არის საკმაოდ დაბნეული და დღევანდელი დღე უნდა გახდეს ყველასთვის რაღაცის გარკვევის დღე, ან ასე, ან ისე. მეტ-ნაკლებად ყველაფერი უნდა გაირკვეს. ვნახოთ, დღეს როგორ განვითარდება მოვლენები, ყოველი შემთხვევისთვის, ხელისუფლებას რაიმე შეშფოთება არ ეტყობა. არის ეს ხელისუფლების მხრიდან თამაში თუ მას რეალურად ამის საფუძველი აქვს, ამას სამწუხაროდ, ვერ გეტყვით. მე ჩემი სამწუხარო ეჭვები მაინც მაქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით.

***— თქვენ თუ აპირებთ დღეს აქციაში მონაწილეობის მიღებას?***

— მე აქციაში იმ შემთხვევაში მივიღებ მონაწილეობას თუ ხელისუფლება მის დარბევს გადაწყვეტს. სურვილში, რომ ხელისუფლება შევცვალოთ სწრაფი წესით, ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუმცა მეორეა, ამას რამდენად მოახერხებენ. ჯერჯერობით ამის ნიშნები არ იგრძნობა. ყველაფერი იმდენად მიეწყო ერთმანეთს და ხელისუფლება ამ ყველაფერს იმდენად რეალურად ხელს არ უშლის, რომ აი ამის ანალიზი არის ძალიან რთული. ვნახოთ, დღეს რამდენ ხალხს გამოიყვანს სახალხო კრება, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, რამდენად მასობრივი მსვლელობა მოეწყობა ტელევიზიიდან თავისუფლების მოედნისკენ.

# ოპოზიცია ხელისუფლებამ გახადა რადიკალური

25-26 მაისს მოვლენათა განვითარების სავარაუდო ვარიანტებსა და შედეგებზე, „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრს, ექსპერტს უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში **ირაკლი სესიაშვილს** ესაუბრა.

***— ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით, 25-26 მაისს მოვლენათა განვითარების როგორ სცენარს შეიძლება ველოდოთ?***

— ყველა ვხედავთ, რომ აქციებში არცთუ ისე ბევრი ადამიანი მონაწილეობს, მაგრამ ვითარება მაინც დაძაბულია. როგორც ჩანს, სერიოზული კრიზისისკენ მივექანებით. ხელისუფლება ცდილობს მშვიდად ყოფნის დემონსტრირებას და რაც ხდება, თითქოს არ იმჩნევს, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ადეკვატური მოქმედებაა საჭირო. მეჩვენება, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთმანეთის მიმართ ჩასაფრებულ პოზიციაში არიან და ერთმანეთისგან შეცდომის დატყუებას ელოდებიან, რომ შემდეგ ეს სათავისოდ გამოიყენონ. ხელისუფლების გადაწყვეტილება, უარი არ თქვას აღლუმზე, ჩემი აზრით, უფრო მეტად იმას ეფუძნება, რომ აღლუმის ჩაშლის მცდელობა არაკანონიერ ქმედებად შეაფასოს, რაც მას მომიტინგეების დაშლისა და ლიდერთა დაკავების საშუალებას მისცემს. შემდეგ, შეიძლება ველოდოთ ტერესერიალებს ან მოწმეების ჩვენებებს იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა. სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ 25-26 მაისს სხვადასხვა ფორმით დაპირისპირებას ვერ ავცდებით.

***— 25 მაისისთვის თბილისში ჩამოსვლას გეგმავდა თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. დღეს კი, „ქართული პარტიის“ ლიდერებმა სოზარ სუბარმა და ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი თბილისში იმის გამო აღარ ჩამოვა, რომ „სახალხო კრება“ და „ქართული პარტია“ ბრძოლის ერთიან გეგმაზე ვერ შეთანხმდნენ. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?***

— ოპოზიციას ხშირად სჩვევია ძალების დაქსაქსვა და ამ შემთხვევაშიც იგივე შეიძლება ხდებოდეს. როცა ჩამოსვლის შესახებ ოქრუაშვილმა განცხადება გააკეთა, ჩამოსვლის პირობები არ დაუსახელებია. პირველი განცხადებით მან უკანდასახევი გზა მოიჭრა. დღევანდელი განცხადების შემდეგაც არ გამოვრიცხავ მის ჩამოსვლას. შესაძლოა, მეორე განცხადება ტაქტიკური მოსაზრებით იყოს გაკეთებული და იგი იმ დროს გამოჩნდეს, როცა არავინ ელის და ეს დაწყებულ ბრძოლაში გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს.

***— რჩება შთაბეჭდილება, რომ რადიკალურ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების მიზეზი ღირებულებით განსხვავებებს უკავშირდება. ხელისუფლება ცხოვრებაში თითქმის ყველა სფეროში მოდერნისტულისა და ავანგარდულის დამკვიდრებას ვესტერნის სტილში ცდილობს. რაც ქუჩაში ხდება, აშკარად გამოხატული რეტროა. ბევრი რამ გემოვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ალბათ, ზომიერი დოზით, მოდერნიც, ავანგარდიც და რეტროც მისაღებია, მაგრამ გადაჭარბებულად, არც ერთი . . .***

— პირველ რიგში, ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ ოპოზიციაში რადიკალიზმის გაჩენას ხელისუფლების რადიკალიზმმა შეუწყო ხელი. ხელისუფლებამ თავისი მმართველობის პერიოდში, ფაქტობრივად, არც ერთი კომპრომისული ნაბიჯი არ გადადგა და სპეციალურად უბიძგებდა პოლიტიკურ ძალებს, ამოვარდნილიყვნენ პოლიტიკური პროცესიდან. ეს შეეხება არჩევნებს, რომლის შედეგადაც ხელისუფლება პარლამენტს 100%-ით აკონტროლებს, იგივენაირად აკონტროლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელშიც თავად არის წარმოდგენილი, პოლიცია და ძალოვანი უწყებები პოლიტიზირებულია. პროკურატურა და სასამართლო გადაქცეულია პოლიტიკური ან სხვა ტიპის ოპონენტების დატერორების ინსტრუმენტად. თუკი ხელისუფლება იყენებს სიტყვას “რადიკალური ოპოზიცია“, სრულიად სამართლიანი იქნება, თუ ხელისუფლების მისამართით ვიტყვით - “რადიკალური ხელისუფლება“. რადიკალიზმით ხელისუფლება უფრო გამოირჩევა, ვიდრე ოპოზიცია და სწორედ ხელისუფლების რადიკალიზმმა გამოიწვია ქვეყანაში რადიკალურად განწყობილი ძალების ჩამოყალიბება. ხელისუფლებამ რადიკალურ ოპოზიციას რადიკალური გამოსვლების გარდა სხვა გზა პრაქტიკულად არც დაუტოვა. რაც დღეს ქუჩაში ხდება, ხელისუფლების რადიკალიზმის შედეგია. ხელისუფლებამ გახადა რადიკალური ოპოზიცია რადიკალური და ახლა მათი პოლიტიკური ასპარეზიდან გაძევებას ცდილობს. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ რადიკალიზებული ოპოზიცია მისი სამიზნე გამხდარიყო. ახლა ხელისუფლება ამ პოლიტიკური ძალების პოლიტიკიდან გარიყვას ცდილობს. ამიტომ, საერთო ჯამში რთული ვითარება გვაქვს. თუ საპროტესტო აქციებმა შედეგი ვერ მოიტანა და აქციები ხელისუფლების მხრიდან დათმობების გარეშე დასრულდა, ასეთ ვითარებაში საქართველო “აზერბაიჯანად“ ჩამოყალიბდება. მოხდება საქართველოს აზერბაიჯანიზაცია და დიქტატორ ალიევს, დიქტატორი სააკაშვილი შეუერთდება. ბაქო ძალიან ლამაზი ქალაქია, მაგრამ ამ ქალაქს და აზერბაიჯანს დიქტატორი-მეფე, ჰეიდარ ალიევის შვილი ილჰამ ალიევი მართავს. ასეთივე ავტორიტარული რეჟიმის ხელმძღვანელობა სურს მიხეილ სააკაშვილს. ვიმყოფებით ვითარებაში, როცა სააკაშვილს საზოგა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# სუხიშვილები 100-კაციან ხორუმს იცეკვებენ

ეკა ირემაშვილი



**26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. საიუბილეო თარიღი წელს განსაკუთრებულად და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღინიშნება. ქართველი პრიმაბალერინა საქველმოქმედო ღონისძიებას გამართავს, რომელიც ცუნამითა და მიწისძვრით დაზარალებულ იაპონიას ეძღვნება.**

26 მაისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება აღმაშენებლის განახლებული გამზირიც, სადაც გაიმართება კონცერტი თბილისის სიმფონიური ორკესტრის, შერეული გუნდებისა და ახალგაზრდა საოპერო შემსრულებლების მონაწილეობით. ორკესტრს მაესტრო ვახტანგ კახიძე უდირიჟორებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სუხიშვილების ნაციონალური ბალეტი 100 კაციან ხორუმს იცეკვებს. ცეკვა პირდაპირ ქუჩაში, რუსთაველის გამზირზე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე შედგება.

უკვე ცნობილია, რომ სუხიშვილები რუსთაველის გამზირზე ქართულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილები გამოჩნდებიან და ცეკვა „ხორუმს" 100 კაციანი შემადგენლობით შეასრულებენ.

რუსთაველის გამზირზე გამოჩენამდე კი სუხიშვილებმა თბილისის ივენთ ჰოლში იცეკვეს, სადაც ფონდ „ხელოვანები თანადგომისთვის" საქველმოქმედო ღონისძიებებს თავისი კომერციული პროექტი მიუძღვნეს. სუხიშვილები თელავშიც ჩავიდნენ, სადაც ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში კონცერტი გამართეს. საღამოზე ორნაწილიანი შერეული პროგრამა იყო წარმოდგენილი. თელავის კონცერტამდე „ქართული ნაციონალური ბალეტი" ორთვიან საგასტროლო ტურნეში ბელორუსიაში, უკრაინასა და ბულგარეთში იმყოფებოდა. სუხიშვილების ანსამბლმა უკრაინელი მაყურებლისთვის უკრაინული ცეკვა „გოპაკიც" შეასრულა. ანსამბლმა 35 კონცერტი ანშლაგით ჩაატარა და საქართველოში 24 მარტს დაბრუნდა, თუმცა რამდენიმე დღეში მორიგი საგასტროლო ტურნესთვის დაიწყო მზადება — აპრილის პირველ რიცხვებში „ქართულ ნაციონალურ ბალეტს" სომხეთის დედაქალაქმა უმასპინძლა.

აპრილის თვეში კი ქართულმა ნაციონალურმა საბალეტო დასმა გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. მოცეკვავეები და მათი ხელმძღვანელობა შეუერთდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევას და აქციის ფარგლებში ანსამბლის წევრებმა თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული სხვადასხვა ჯიშის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხის ნერგები დარგეს. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივაში „დარგე ხე, გაამწვანე გარემო" აქციაში ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა პირველად მიიღო მონაწილეობა.

— ხევსურული, ხორუმი და ბევრი სხვა ცეკვა კარგად ასახავს ქართველების მტკიცე სულიერებას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა სამხედრო ფორმებში „ხორუმის" ცეკვა. იმედია, ხალხსაც მოეწონება, — აცხადებს ანსამბლის ხელმძღვანელი ნინო სუხიშვილი.

„სუხიშვილები" აქტიურ რეპეტიციებს უკვე გადიან და 100 კაციანი უწყვეტი ჯაჭვით 26 მაისს, აღლუმის დღეს რუსთაველის გამზირზე ჩაივლიან.

# აზერბაიჯანის თეატრი გასტროლებს საქართველოში მართავს

ეკა ირემაშვილი

20-წლიანი პაუზის შემდეგ, აზერბაიჯანის სახელმწიფო რუსული თეატრი თბილისის გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლს გამართავს. 25 და 26 მაისს დაგეგმილი აზერბაიჯანის თეატრის გასტროლები საქართველოში ხორციელდება გრიბოედოვის თეატრის ინიციატივით, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და თიბისი ბანკისა და აზერბაიჯანული ბანკის „ფაშა ბანკი" დაფინანსებით.

გრიბოედოვის თეატრში დაგეგმილ სპექტაკლს დაესწრებიან საქართველოს კულტურის მინისტრი, ბატონი ნიკოლოზ რურუა და თიბისი ბანკისა და ფაშა ბანკის მენეჯმენტის წევრები. გრიბოედოვის თეატრის მცირე დარბაზში, თეატრის დასი ქართველ მაყურებელს წარმოუდგენს სარეპერტუარო სპექტაკლს „მინდა ვიყიდო ქმარი", რომელიც მიხაილ ზადორნოვის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით არის დადგმული. სპექტაკლის რეჟისორი აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, დიდების ორდენის კავალერი ალექსანდრე შაროვსკია.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა ნინო წითლანაძემ განაცხადა, აზერბაიჯანისა და საქართველოს კულტურულ ურთიერთობას მრავალწლიანი ისტორია აქვს, რომელიც უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად შემცირდა. ბაქოს თეატრის გასტროლები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ამ ურთიერთობის აღდგენის თვალსაზრისით, რომელსაც წინ უძღოდა თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის წარმატებული გასტროლები აზერბაიჯანში. 2010 წლის 28 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით, ბაქოს თეატრის სცენაზე ქართველი მსახიობების მიერ, წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ემიგრანტები", რომელიც რეჟისორმა ირაკლი აფაქიძემ სლავომირ მროჟეკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დადგა. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა ბაქოელი მაყურებლისგან და ასევე, თეატრალური კრიტიკისა და პრესისგან.

გასტროლის შემდეგ ბაქოს თეატრის ხელმძღვანელობამ ბატონ ირაკლი აფაქიძეს შესთავაზა ბაქოს თეატრის სცენაზე ყურბან საიდის ცნობილი რომანის „ალი და ნინოს" ინსცენირების დადგმა. ამ იდეას მხარს უჭერენ როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს კულტურის სამინისტროები და პირადად ორივე ქვეყნის კულტურის მინისტრი. პროექტის განხორციელება 2012 წლის სეზონისთვის არის დაგეგმილი.

# სტუდენტურმა კინოფესტივალმა რჩეულები დაასახელა

**თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი" საზეიმო ვითარებაში დაიხურა და ჟიურიმ წარმოდგენილი ფილმებიდან ის ოთხი გამორჩეული შეარჩია, რომლებიც „ამირანით" დაჯილდოვდა. წელს ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრები იყვნენ ბოგდან ძივორსკი (პოლონეთი), ინეკე სმიტსი (ნიდერლანდები), დოვერ ქოსაშვილი (ისრაელი), ანდრეა ვინკი (გერმანია) და მარინა კერესელიძე (საქართველო). ჟიურის ყველა წევრმა ჩაატარა მასტერკლასი, პრეზენტაცია და საინფორმაციო შეხვედრა გამართა სტუდენტებთან.**

ეკა ირემაშვილი

ჟიურის რჩეულები კი გახდნენ — საუკეთესო მხატვრული ფილმის ნომინაციაში რეჟისორი გიორგი ქობალია და მისი ნამუშევარი „უსახელო მცენარე", საუკეთესო დოკუმენტური ფილმი — გლებ კლიშევიჩი, „სტუდენტების სიმპათია" — მარგო ზუბაშვილი, საუკეთესო მონტაჟის ავტორი — ნიკა გუგუშვილი, ასევე გამოვლინდნენ გამარჯვებულები ნომინაციაში საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი, საუკეთესო რეჟისურა, რომელთაც სპეციალური დიპლომები გადაეცათ.

სელექციის შედეგად ფესტივალის ძირითად საკონკურსო პროგრამაში 19 ქვეყნის სხვადასხვა კინოსკოლის 48 სტუდენტური ნამუშევარი მოხვდა. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, პირველად ფესტივალის არსებობის მანძილზე, შედგა სტუდენტური ურთიერთთანამშრომლობა. სელექციის შედეგად, მსოფლიოს სხვა ქვეყნიდან ფესტივალზე მოწვეული 15 სტუდენტი, რამდენიმე შერეულ ჯგუფად ჩამოყალიბდა და გადაიღო ფილმები — კო-პროდუქცია. შემდგომში, შესაძლებელი იქნება „ამირანის" სახელით ამ ფილმების სხვადასხვა ფესტივალებზე გატანა, რაც ფესტივალს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს საერთაშორისო მასშტაბით.

სტუდენტური საერთაშორისო კინოფესტივალის „ამირანის" ჩატარებამდე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქართული დიპლომები გადასცა იმ 4 ლიტველ რეჟისორს, რომლებიც 1988-1992 წლებში ლიტველი სტუდენტები იყვნენ და საქართველოში მერაბ კოკოჩაშვილის ჯგუფში სწავლობდნენ. მათ დიპლომების დაცვა მაშინ თბილისში არეულობისა და ომის გამო ვერ მოახერხეს. კუთვნილი სიგელები მათ ლიტვის ელჩმა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანმა გადასცეს. ამჟამად ყველა მათგანი ცხოვრობს და მოღვაწეობს ლიტვის გარეთ. კუთვნილი დიპლომები ლიტველმა რეჟისორებმა 22 წლის შემდეგ კინოს სახლში მიიღეს. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა მასთან არსებული გოგონათა ფოლოკლორული ანსამბლის „ქალგულის" (ხელმძღვანელი გომარ სიხარულიძე) საზეიმო კონცერტიც გამართა, რომელიც რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე შედგა.

სტუდენტებს გამარჯვება მომღერლებმა მარიკო ებრალიძემ, ბორის ბედიამ და გიორგი სუხიტაშვილმაც მიულოცეს. მათ საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერები შეარჩიეს და საგანგებოდ მათთვის იმღერეს.

**გიორგი ქობალია, კინოფესტივალის გამარჯვებული:**

— მოსამზადებელი კურსი თეატრალურ უნივერსიტეტში გავიარე.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი მანანა**

**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბიზნესზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**

**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**

**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

# ანა ტატიშვილს სენსაციამდე გამოცდილება დააკლდა

**„როლან გაროსი“ დაიწყო და ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი ახლოს იყო პირველი ხმაურიანი სენსაცია დაეფიქსირებია. საფრანგეთის ღია პირველობის პირველ წრეში მსოფლიოს მე-11 ჩოგან მარიონ ბარტოლის პირველი სეტი 6:1 მოუგო, მაგრამ აღებულ ტემპს ვეღარ გაუძლო და შემდეგი ორი სეტი 2:6, 1:6 დათმო.**



საწყის სეტში ტატიშვილი ფაქტობრივად უშეცდომოდ თამაშობდა და ბარტოლის დასამარცხებლად 31 წუთი ეყო. მეორე სეტის დასაწყისში, ანამ ბარტოლის მოწოდება მოიგო და სენსაციაც ახლოს იყო, მაგრამ იქვე დათმო და თითქოს ფავორიტს გამარჯვება აღარ უნდა გასჭირვებოდა. ტატიშვილმა ისევ იმძლავრა, ბარტოლის ისევ აართვა მოწოდება და 2:1 დაწინაურდა.

ამის შემდეგ ტატიშვილის თამაშში რა მოხდა, ვერ გეტყვით. ბარტოლი გაცილებით აგრესიულად ამოქმედდა, მაყურებელმაც თანამემამულეს აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინა და შედეგმაც არ დაახანა. ფრანგმა, მომდევნო 11 გეიმიდან 10-ში იმარჯვა და თამაშიც სათავისოდ დაასრულა.

— ახლა, უკვე უკეთ ვარ, მაგრამ თამაში ისე დავიწყე, ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი არ დამესიზმრებოდა. როდესაც პირველი სეტი მორჩა, საკუთარ თავს ვუთხარი, ყველაფერი დამევიწყებინა და ისე მეთამაშა, თითქოს, ანგარიში 0:0 გახლდათ. საბედნიეროდ, ეს მოვახერხე. უკეთ ავთამაშდი და მართალია, იმ დონეზე ვერ გავისარჯე, როგორც სტრასბურის ტურნირზე, პროგრესი სახეზე იყო. ამ მოგებით კმაყოფილი ვარ, რადგანაც თავისუფლად შეიძლებოდა, დავმარცხებულიყავი. თუმცა, ვიბრძოლე და საკუთარი შესაძლებლობები ყველას დავანახვე. მატჩის დასაწყისში ტატიშვილი ბურთს არ აგებდა, თითქმის არ ცდებოდა და ზუსტად ხაზებზე ურტყამდა. მე კი, ყველანაირი სისულელე ჩავიდინე, რაც კი შეიძლებოდა. სიტუაციიდან გამოსვლაში პუბლიკის ქომაგობა ძალიან დამეხმარა. ისინი ყველანაირ სიტუაციაში მამხნევებდნენ და არ შემეძლო, ბოლომდე არ დავხარჯულიყავი, — განაცხადა მატჩის შემდეგ ბარტოლიმ.

მატჩში, რომელმაც საათსა და 49 წუთს გასტანა, ქართველმა 1 ეისი მოაწოდა, 6 ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება შვიდჯერ (10 შესაძლებლობიდან) დათმო, თავად კი ასევე 10 ბრეიკ-პოინტიდან 5 გამოიყენა.

იმის გათვალისწინებით, რომ ტატიშვილი დიდი სლემის ეგიდით მიმდინარე ტურნირის ძირითად ბადეში პირველად ასპარეზობდა, ურიგო თამაში ნამდვილად არ უჩვენებია. ერთია, ცოტა მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, ის უპირატესობა, რომელიც დასაწყისში მოიპოვა, შესაძლოა, ბოლომდეც მიეყვანა. იმედია, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში სადღეისოდ, 106-ე ადგილზე მყოფი ქართველი გოგონა, მომავალში თამაშის ხარისხის კიდევ უფრო დახვეწას მოახერხებს.

# შაშიაშვილმა „ერგოტელისი“ ორი წლით გაახანგრძლივა

**ქართველმა ფეხბურთელმა გიორგი შაშიაშვილმა საბერძნეთის სუპერლიგის საფეხბურთო კლუბ ირაკლიონის „ერგოტელისთან“ კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა.**

— ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება მომდევნო 2 წლის „ერგოტელისში“ გატარება. მე და ჩემს ოჯახს ირაკლიონში ცხოვრება მოგვწონს და ვერ ვნახეთ მიზეზი, აქ არ დავრჩენილიყავით. „ერგოტელისის“ წევრობა ჩემთვის პატივია და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გავამართლო იმ ხალხის ნდობა, რომელთაც ჩემი ეიმედებათ. გადაწყვეტილების მიღება რთული არ ყოფილა, რადგან კლუბის პრეზიდენტის, მთავარი მწვრთნელისა და თანაგუნდელების მჯერა. შევეცდებით, მომავალ სეზონში „ერგოტელისი“ უფრო მაღალ ადგილზე გავიყვანოთ, რაც რთულია, მაგრამ შესაძლებელი. „ერგოტელისი“ ოჯახივითაა და ეს წარმატებისთვის მნიშვნელოვანია. გუნდის ბირთვი შენარჩუნებულია და სეზონის დაწყებამდე შემომატებულ ახალ ფეხბურთელებთან ერთად, გუნდი დასახულ მიზნებს მიაღწევს. სტადიონზე საქომაგოდ მოსული გულშემატკივრები გამარჯვების მოსაპოვებლად იმპულსს გვაძლევენ. მსურს, ფანებს დიდი მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. მათთან ჩვენი ერთობა ახალ სეზონშიც გაგრძელდება. ქალაქ ირაკლიონის მაცხოვრებლებს გაუმართლათ, რომ ისეთი გუნდი ჰყავთ, როგორიც „ერგოტელისია“. მათ შეუძლით, სტადიონზე ოჯახის სრული შემადგენლობით მოვიდნენ და თამაშით ისიამოვნონ. იმის შიში არ აქვთ, რომ რაიმე ინციდენტი მოხდება, — განაცხადა შაშიაშვილმა „ერგოტელისის“ ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში.

31 წლის შაშიაშვილმა, რომელიც „ერგოტელისში“ 2009 წელს, გრაცის „შტურმიდან“ გადავიდა, გასულ სეზონში „ერგოტელისის“ რიგებში 24 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

# „არმია“ საქართველოს ჩემპიონია!

**თსუ — არმია 61:65**

**(12:15, 16:12, 17:20, 16:18)**

დასრულდა საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა მე-20 ეროვნული ჩემპიონატის ფინალური სერია. „არმიამ“ მეოთხე შეხვედრაში 65:61 მოუგო თსუ-ს, სერიაში 3:1 გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

შეხვედრა ძალიან საინტერესო და ემოციური გამოდგა, მაყურებელმა ძალიან ლამაზი სანახაობა იხილა თბილისის სპორტის სასახლეში. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა: თამაში ქულა-ქულაში წავიდა, პირველი ტაიმი თსუ-ს ერთქულიანი უპირატესობით დასრულდა — 28:27, ამის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, შეხვედრის ბედი კი მატჩის ბოლო წუთებზე გადაწყდა — „არმიამ“ თსუ 4 ქულის სხვაობით დაამარცხა და წელს საქართველოს ჩემპიონატში პირველად ჩართულმა გუნდმა სუპერლიგის ჩემპიონის თასი აღმართა.

თსუ-არმიას მეოთხე შეხვედრაში, საუკეთესო იყო თსუ-ს ფორვარდი მიხეილ ბერიშვილი, რომელმაც ყველაზე მეტი 18 ქულა დააგროვა. არმიელთა შორის ყველაზე მეტი, 16 ქულა ცენტრ გიორგი შარაბიძის ანგარიშზეა.

13 ქულითა და 12 მოხსნით, ორმაგი დუბლი შარაბიძის თანაგუნდელმა, მძიმე ფორვარდმა ზვიად ბაბიაშვილმა შეასრულა.

ამით საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა. ჩასატარებელი დარჩა სუპერთასის მატჩი, სადაც ერთმანეთს „არმია“ და თასის ფინალისტი შსს შეხვდებიან. ეს შეხვედრა 29 მაისს, თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ ამავე სეზონში, „არმიამ“ თასის მოპოვებაც შეძლო და დუბლი შეასრულა. მეორე ადგილზე გავიდა თსუ, ხოლო მესამე ადგილი „ქუთაისმა“ დაიკავა.

# თემურ ქეცბაია: „დასაკარგი გვაქვს“

**3 ივნისს, 22 საათზე, ხორვატიის ქალაქ სპლიტში, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრები ადგილობრივ ეროვნულ გუნდს შეხვდება. „ჯვაროსნების“ მზადება 23 მაისს დაიწყო, ხოლო გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც ნაკრების ფეხბურთელი, მცველი გურამ კაშიაც იახლა.**

**თემურ ქეცბაია:**

— ნაკრები გუშინ შეიკრიბა და ჯერ სრული შემადგენლობით არ ვართ. ბევრი ლეგიონერი ჩამოსასვლელია, თუმცა უკვე აქაა 21 ფეხბურთელი და ეს საკმარისია სრულყოფილი ვარჯიშის ჩასატარებლად. თანაც, ოთარ გაბელიასთან შევთანხმდი და 27 მაისს, ეროვნული და 21-წლამდელთა ნაკრებები ერთმანეთში გავმართავთ მატჩს. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია. რუსეთის პრემიერლიგა გრძელდება და „ვოლგას“ ორშაბათს აქვს შეხვედრა, რაც პრობლემებს გვიქმნის. ორშაბათს თუ ითამაშებენ, სამშაბათი დღეც დაკარგული გამოვა და გამოდის, რომ ოთხშაბათამდე ვერ ივარჯიშებენ ნაკრებში. ამიტომაც, უეფა-ს და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასაც ვთხოვეთ, რომ „ვოლგას“ მატჩი ან გადაიდოს, ან ერთი-ორი დღით ადრე, შაბათ-კვირას ჩატარდეს. იმედია, ჩვენს მოთხოვნას გაითვალისწინებენ.



***— რადგან „ვოლგას“ შეეხეთ, გოჩა ხოჯავაზე გკითხავთ — რუსული მედიის ინფორმაციით, ხოჯავა ჯერ ინდივიდუალურად ვარჯიშობს და სრული დატვირთვით ვერ ემზადება.***

— გვაქვს ინფორმაცია, რომ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ასეა თუ ისე, ხოჯავა მაინც უნდა ჩამოვიდეს ნაკრებში. მართალია, გოჩა ბოლო დროს ვერ თამაშობდა ტრავმის გამო, მაგრამ არაერთი შემთხვევა იყო, როცა კლუბში უთამაშებელ ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებში უწევდა გამოსვლა. „ვოლგაში“ არ უწევდა თამაში? ჩვენთან ითამაშებს.

***— პირველი ვარჯიში გქონდათ და რას იტყვით ფეხბურთელთა მზადყოფნაზე?***

— ჯერ ძნელია ამაზე საუბარი. საკმაო დრო გვაქვს მოსამზადებლად.

***— ისრაელთან მატჩის შემდეგ, ნაკრების ფეხბურთელთა საკლუბო გამოსვლებს აკვირდებოდით და რას იტყვით, საერთო ჯამში როგორ ფორმაში არიან?***

— სამწუხაროდ, ისრაელთან წავაგეთ და არ შეიძლება, კმაყოფილი ვიყო. ისიც სათქმელია, რომ მანამდე, სამი დღით ადრე, ხორვატიასთან გვქონდა მძიმე მატჩი, რომელმაც დიდი ჯანი წაგვართვა. ბოლო 11 მატჩიდან 7 სტუმრად ვითამაშეთ და ვფიქრობ, ურიგო შედეგი არ გვაქვს, თანაც, ჩვენ არ გვყავს იმ დონის ნაკრები, რომ არასოდეს არ წავაგოთ...

***— ხორვატია ფავორიტია და საქართველოს დასაკარგი არაფერი აქვს — ეს ფსიქოლოგიურად პლუსია ჩვენი ნაკრებისთვის?***

— დასაკარგი როგორ ვთქვა... ვერ ვიტყვი, რომ ასეა. სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, დასაკარგი სწორედაც რომ გვაქვს. გავალთ მინდორზე და ვიბრძოლებთ.

***— ალბათ, სპლიტში თბილისური მატჩისგან განსხვავებული შეხვედრა იქნება. საქართველოს ნაკრები სათამაშო სტილს ხომ არ გადაუხვევს?***

— არა. ვიცით ჩვენი გზა და ამ მხრივ დიდი ცვლილებები არ იქნება.

***— ჯანო ანანიძისა და ალექსანდრე ამისულაშვილის მზადყოფნაზე რას იტყვით? საკმაო ხანია, ჯანოს არ უთამაშია.***

— თბილისში რომ ჩამოვლენ, ვნახავთ. ამისულაშვილმა გასულ ტურში ითამაშა და არანაირი პრობლემა არ შექმნია. ანანიძე კი, „სპარტაკის“ თვრამეტ კაცში იყო.

***— ხორვატიაში რამდენ ფეხბურთელს წაიყვანთ?***

— ესეც შემდეგ გამოჩნდება.

**გურამ კაშია:**

— ხორვატიასთან არათუ საქართველოს, უფრო ძლიერ ნაკრებებსაც უჭირთ. თუმცა, ყველამ დაინახა, რომ ამ დონის გუნდებთანაც შეგვიძლია 3 ქულის აღება. თუ გუნდი ყველანაირად მზად იქნება, წარმატების მიღწევა შესაძლებელია, თანაც, ძლიერი დაცვით.

***— რას იტყვით საკუთარ სათამაშო ფორმაზე?***

— „ვიტესში“ სათამაშო პრაქტიკა არ მომკლებია. ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ.

***— „ვიტესში“ უმეტესად მარჯვენა მცველად თამაშობდით, თუმცა, ამპლუით ცენტრალური მცველი უფრო ხართ.***

— სხვათა შორის, ხშირად იწერება, რომ მარჯვნივ ვთამაშობ. არადა, მეორე წრის ყველა მატჩში დაცვის ცენტრში ვიყავი.

გასაუბრება მოვახერხეთ ნაკრების სხვა ფეხბურთელებთანაც.

**კახა კალაძე:**

— ვიცით, რომ რთული მატჩი გვექნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თითოეული ფეხბურთელი თავს დადებს შედეგის მისაღწევად. ნეტავ, ფრე ვითამაშოთო, ამაზე ფიქრი არ უნდა გვქონდეს. ზოგადად კი, თბილისური მატჩისგან განსხვავებული შეხვედრა იქნება. ხორვატებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდებათ, ისევე, როგორც ჩვენ. არა მგონია, გადაღლის ფაქტორი არსებობდეს. 3 ივნისამდე საკმაო დროა და მშვიდად მოვემზადებით. გადაღლის პრობლემა ისრაელში თამაშისას გვქონდა, როცა ხორვატებთან მძიმე მატჩის შემდეგ, ფაქტობრივად, ორი დღე დავისვენეთ.

**ალექსანდრე იაშვილი:**

— ხორვატიის ნაკრები ჩვენ ჯგუფში საუკეთესო გუნდია და ურთულესი მატჩი გველის, თუმცა, თბილისურმა მატჩმაც დაგვანახა, რომ ერთიანი სულისკვეთებით მოედანზე გასულ გუნდს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია.

გაგაცნობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მოწოდებულ ეროვნული ნაკრების განრიგს ხორვატიაში გამგზავრებამდე:

ვარჯიშები: 25 მაისი — 11:00 და 18:00; 26 მაისი — 11:00; 27 მაისი — 18:00; 28 მაისი — 11:00 და 18:00; 29 მაისი — 18:00; 30 მაისი — 18:00; 31 მაისი — 18:00; 1 ივნისი — 18:00; ხორვატიაში გამგზავრება: 2 ივნისი — 11:00.

როგორც თემურ ქეცბაიამ განაცხადა, 26 მაისს, ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით დაესწრება საქართველოს თასის ფინალურ მატჩს, რომელიც ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ამის გამო, 26-ში ეროვნული გუნდი მხოლოდ ერთ, დილის ვარჯიშს გამართავს.

# შედეგები

## ფეხბურთი

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| სიენა-ვარეზე | 5:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მილბი-დიურგარდენი | 3:0 |
| ელფსბორგი-ჰალმშტადი | 3:2 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ჰონკა-ტპს | 1:2 |
| ჯჯკ-კუუპიო | 2:0 |
| იარო-ვაასა | 2:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| დალასი-სოკტ ლეიკი | 0:0 |
| კოლორადო-ტორონტო | 0:0 |

## კალათბურთი

**ნბა. პლეი□ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ოკლაჰომა□დალასი | 105:112(ოტ) |
| სერიის ანგარიში | 1:3 |

## ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| პივოვაროვა-ლიაგოსტერა ვივასი | 3:6;0:6 |
| რეზაი-ბეგუ | 3:6;3:6 |
| სკიავონე-ოუდინი | 6:2;6:0 |
| ერანი-მაკჰეილი | 6:7;6:2;9:7 |
| ზვონარევა-დომინგეს ლინო | 6:3;6:3 |
| ბარუა-მირზა | 3:6;3:6 |
| სჰეპერსი-კუტუზოვა | 6:3;4:6;6:2 |
| დანილიდუ-კრეიბასი | 3:6;3:6 |
| ზაკოპალოვა-ჩანი | 5:7;1;6 |
| ზაჰლავოვა-ჩჟენი | 4:6;3:6 |
| ლისიცკი-ამანმურადოვა | 6:0;6:4 |
| რადვანსკა ა.-მაირი | 6:1;6:2 |
| სავაი-გოვორცოვა | 4:6;6:4;4:6 |
| კვიტოვა-არნი | 6:2;6:2 |
| ბარტოლი-ტატიშვილი | 1:6;6:2;6:1 |
| პენგი-პაჩეკი | 6:3;6:2 |
| კირილენკო-ვანდევეიე | 7:6;6:2 |
| ვოზნიაკი-ნამიგატა | 6:1;6:1 |
| როდინა-ბრემონი | 3:6;6:4;6:8 |
| უოტსონი-ფორეზი | 7:6;6:1 |
| გარსია-ონდრაშკოვა | 6:3;6:4 |
| მაკაროვა-ოპრანდი | 6:4;3:6;6:0 |
| მედინა გარიგესი-დენტონი | 7:5;7:5 |
| მორიტა-მლადენოვიჩი | 2:6;6:4;7:5 |
| შარაპოვა-ლუჩიჩი | 6:3;6:0 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| ტროიცკი-რეისტერი | 6:4;6:3;6:3 |
| ბელუჩი-გოლუბევი | 6:4;6:4;6:7;7:6 |
| დელ პოტრო-კარლოვიჩი | 6:7;6:3;7:5;6:4 |
| ილჰანი-ჰაასე | 6:4;4:6;7:6;6:4 |
| კუკუშკინი-ბრანდსი | 6:2;6:4;6:4 |
| იუჟნი-სოედა | 7:5;6:2;6:4 |
| ჯოკოვიჩი-დე ბაკერი | 6:2;6:1;6:3 |
| რამოს ვინოლასი-მარტი | 6:3;6:7;4:6;6:1;6:3 |
| ბერდიხი-რობერი | 6:3;6:3;2:6;2:6;7:9 |
| სტარაჩე-ფალა | 6:7;1:6;1:6 |
| ფიში-მელო | 6:2;6:7;6:2;6:4 |
| ანდრეევი-სერა | 6:4;6:1;6:3 |
| ფედერერი-ლოპესი | 6:3;6:4;7:6 |
| მონფილსი-ფაუ | 4;6;6:3;7:5;6:0 |
| ტიპსარევიჩი-დაბული | 7:6;6:1;6:0 |
| ლოდრა-დარსისი | 7:6;3:6;3:6;3:6 |
| დავიდენკო-გრემელმაიერი | 7:6;6:1;6:3 |
| ბერლოკი-ტომიჩი | 7:5;6:4;6:2 |
| ბოლელი-დანჩევიჩი | 6:1;6:3;6:7;6:2 |
| პეტშნერი-ზვერევი | 7:6;6:0;6:4 |
| როხუსი ო.-კამკე | 7:6;3:6;3:6;2:6 |
| გონსალესი-შულერი | 6:7;3:6;3;6 |
| გასკე-შტეპანეკი | 7:5;6:3;6:0 |
| ჰანესკუ-პერი | 7:5;4:6;6:1;7:6 |
| მაიერი-ბრაუნი | 3:6;7:6;6:2;6:2 |
| ბაგდატისი-ჟილი | 7:6;6:2;6:2 |
| გრანოლერსი-ბოგომოლოვი | 6:3;3:6;7:6;6:2 |
| რაონიცი-ბერერი | 4:6;6:4;3;6;4:6 |
| კუევასი-ვეიჩი | 6:4;3:6;2:6;1:6 |
| დოლგოპოლოვი-შუტლერი | 6;3;6:3;6:1 |
| მიურეი-პროდონი | 6:4;6:1;6:3 |
| ლუბიჩიჩი-დევ ვარმანი | 6;4;6;3;6;4 |
| სვიტინგი-მაურერი | 1:6;6;6;2:6;0:6 |

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი□ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ტამპა ბეი | 3:1 |
| სერიის ანგარიში | 3:2 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედით საიტზე atb.ge

# ვახუშტი კოტეტიშვილის პრემია მეორედ გაიცა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცნობილი, წლიდან წლამდე ამ კონკურსის მიმართ ინტერესი გაიზარდა და მასში მონაწილეობა 23-მა მთარგმნელმა მიიღო.

კონკურსის ორგანიზატორებმა წლევანდელ ჟიურიში მიიწვიეს — გიორგი ეკიზაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ზვიად რატიანი, ხათუნა ცხადაძე, ანა ჭაბაშვილი და ნიკა ჯორჯანელი. მათ დახურული წესით შეაფასეს თარგმანები და საუკეთესოებიც დაასახელეს.

წელს კონკურსისთვის დაწესებული საპრიზო ფონდი გაიზარდა. პრემია გადაეცა სამ საუკეთესო ახალგაზრდა მთარგმნელს — პირველი ადგილი განისაზღვრა 1500 ლარით, მეორე ადგილი — 1000 ლარით, მესამე ადგილი — 500 ლარით. ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილებამ კი დააწესა სპეციალური პრიზი — 800 ლარი საუკეთესო თარგმანისთვის სპარსულიდან ქართულ ენაზე.

წელს ამ კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ თათია მთვარელიძე, რომელმაც პირველი ადგილი დაიმსახურა და საპრიზო თანხა 1500 ლარი მიიღო, რევაზ გეთიაშვილი — მეორე ადგილი და შესაბამისად 100 ლარი გადაეცა, ბაჩანა ჩაბრაძე — მესამე ადგილი და 500 ლარი. ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი 800 ლარი კი მოიპოვა ნინო თუშიშვილმა სპარსულიდან ქართულ ენაზე საუკეთესო თარგმანისთვს. დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოში ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დაესწრო.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბილიოთეკის მესამე კორპუსის საგამოფენო დარბაზში გამართულ ღონისძიებაზე ვახუშტი კოტეტიშვილის პრემიის კონკურსში გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოებასთან საუკეთესო თარგმანებისგან შედგენილი კრებულის პრეზენტაციაც მოეწყო.

**თამარ ლებანიძე, გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელი:**

— ჩვენ ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიის კონკურსი წელს უკვე მეორედ გამოვაცხადეთ. თებერვლის თვიდან ჩვენს კონკურსში მონაწილეობის შესახებ ყველა მსურველმა იცოდა.

***— ინტერესი თქვენი კონკურსის მიმართ გაიზარდა?***

— რა თქმა უნდა. წელს ჩვენს კონკურსში მონაწილეობა 23-მა მთარგმნელმა მიიღო. ჩვენ ყველა კონკურსანტის საუკეთესო ნაშრომი ერთ კრებულში გავაერთიანეთ.

***— ასაკი შეზღუდული გქონდათ?***

— დიახ, კონკურსანტთა ასაკი 20-დან 35 წლამდე განისაზღვრა.

***— რატომ შეარჩიეთ პრემიის გაცემისთვის 23 მაისი?***

— კონკურსის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი 23 აპრილს იმართება, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, თუ კონკურსის დღე აღდგომის კვირეულს ემთხვევა, ერთი კვირით ადრე ანუ 14 აპრილს ჩავატარებთ.

***— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

— უცხოური თარგმანების კონკურსი, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობისაა, აუცილებლად ტრადიციულ სახეს მიიღებს. მომავალ წელს ჩვენი სურვილია კონკურსს დაემატოს მასტერკლასებიც. მიგვაჩნია, რომ კონკურსი უნდა გავაფართოვოთ და დავამატოთ მასტერკალსები, რათა ახალგაზრდა მთარგმნელებს უკვე გამოცდილმა მთარგმნელებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ.

# სტუდენტურმა კინოფესტივალმა რჩეულები დაასახელა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

შემდეგ უკვე, „დუტა პროდაქშენთან“ ერთად გადაღებას შევუდექი და დაახლოებით ერთ თვეში მოვრჩით ფილმზე მუშაობას. ძალიან გვიან გავიგე, ჩემი ფილმი რომ ამ ფესტივალში იყო, ამიტომ ძალიან გახარებული ვარ, ნამდვილად არ მეგონა თუ მე ავიღებდი ასეთ მნიშვნელოვან პრიზს.

**ჟან პერე, ჟიურის წევრი:**

— ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. ვფიქრობ, დადგა დრო, ჩვენ ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ და გზა მათ დავუთმოთ. სხვა ჟიურის წევრებთან დისკუსია მქონდა ფილმებზე, საუბარი შეეხებოდა სურათს, გამოსახულებას. ვფიქრობ, ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ფილმში ხმას. რაც შეეხება თვითონ ნამუშევრებს, როგორც სტუდენტებისა, ნამდვილად არ იყო ურიგო.



**მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი:**

— მიმაჩნია, რომ ყველამ უნდა ნახოს ერთმანეთის ფილმები. არა მარტო ქართული, არამედ ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი ფილმები. იმიტომ, რომ ყველას ნახვა და შეფასება განვითარებისთვის ძალიან საჭიროა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შედეგი ძალიან დიდი იქნება. მოხარული ვარ, რომ პრიზები ქართველმა კონკურსანტებმაც დაიმსახურეს. ვულოცავ მათ და წარმატებებს ვუსურვებ.

**მარინა კერესელიძე, ჟიურის წევრი:**

— არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ფესტივალზე არათანაბარი ფილმები იყო წარდგენილი. სტუდენტებისგან უფრო მეტ სიახლეს ველოდებოდით. ნაკლებად საინტერესო იყო დოკუმენტური ფილმების პროგრამა, მეტ-ნაკლებად საინტერესო — ანიმაციური და შედარებით მრავალფეროვანი მხატვრული ფილმების პროგრამა გამოირჩეოდა. საქართველოდან წარმოდგენილი ფილმები შედარებით ნაკლებად ხარისხიანი იყო უცხო ქვეყნებთან, მაგრამ იდეით და ორიგინალურობით თანაბარი კონკურსანტები იყვნენ. იმედი მაქვს, შემდეგ წელს უფრო კარგი და საინტერესო ნამუშევრები იქნება. მსგავსი კინოფესტივალები კი ნამდვილად საჭიროა იმისთვის, რომ ახალგაზრდობა შემოქმედებითად გაიზარდოს.

# „მთლიანი საქართველო“ პროტესტის გამო შეიქმნა

**ნათია ხურცილავა**

პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველო“ ასპარეზზე გამოდის და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას უკიდურესად რთულს, არასტაბილურს და ქართული სახელმწიფოებრიობისთვის რეალური საფრთხის მატარებლად აფასებს.

გუშინ პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯემალ შელიამ პრესკონფერენცია გამართა.

„მთლიანი საქართველო“ საზოგადოებას კონსოლიდაციისკენ მოუწოდებს, პოლიტიკურ პარტიებს — პოლიტიკურ პროცესებში ერთიანი მონაწილეობისკენ.

— დღეს ხელისუფლების მიზანია პოლიტიკური ძალების გათიშვა, პოლიტიკურ პროცესებში დაბნეულობის შეტანა, საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობის დანერგვა. ქვეყნის ბედი დიდი საფრთხის წინაშე დგას. — ამბობს ჯემალ შელია.

ჩვენს კითხვას — თუ რატომ, რა მიზნით შეიქმნა ახალი პარტია, პარტიის გენერალური მდივანი პასუხობს:

— პარტია ერთი წლის წინ შეიქმნა. პარტია შეიქმნა არა იმიტომ, რომ კონკრეტული პირების ამბიციები დაკმაყოფილდეს, არამედ შეიქმნა, როგორც რეაქცია იმ მოქმედებაზე და საქმიანობაზე, რასაც ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს. პარტია არის პროტესტის ფორმულა იმ მიდგომებზე, რაც ახასიათებს ჩვენს ხელისუფლებას. ჩვენს პარტიას უნდა, რომ საზოგადოებაში სამართლიანობის განცდა იყოს და ადამიანის უფლებები — დაცული, ისე, როგორც ჩვენი კონსტიტუციით არის აღიარებული. როგორც ევროპაში აღიარებული ფასეულობების მიხედვით, როგორც კონვენციით, ასევე სხვა ხელშეკრულებებით. პარტია შეიქმნა, როგორც ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია საზოგადოების რაღაც ნაწილის მობილიზება. — აცხადებს შელია.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ აფინანსებს ახალ პარტიას, პარტიის გენერალური მდივნის განცხადებით კერძო პირების მცირეოდენი შემოწირულობებით ფინანსდება.

— მწირი დაფინანსება გვაქვს. ამ დაფინანსებით ჯერჯერობით ვახერხებთ, რომ პარტიაში ასეულობით ადამიანია გაწევრიანებული, რაც მომავალში უფრო გაიზრდება. — აღნიშნა გენერალურმა მდივანმა.

პარტია „მთლიანი საქართველოს“ თავმჯდომარე პატიმარი ვლადიმერ ვახანიაა.

—პარტია შეიქმნა, როგორც პროტესტი, ამით გამოვხატეთ პროტესტი კონკრეტული პირის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებზე. მე ვსაუბრობ ვლადიმერ ვახანიაზე, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ უკანონოდ, აბსოლუტურად მოგონილი მიზეზით და საბაბით დააპატიმრა და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მერე სააპელაციო სასამართლომ შეუმცირა მას პატიმრობის ვადა. — აღნიშნა ჯემალ შელიამ.

25 მაისს „მთლიანი საქართველო“ „სახალხო კრების“ აქციას შეუერთდება. ისინი თავიანთი აქტივისტების და მხარდამჭერების მობილიზებასაც გეგმავენ.

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პოლიტიკური პროცესი არ არის ერთი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პარტიის გასაკეთებელი საქმე და ბოლომდე მისაყვანი. ჩვენ ამ პროცესს ვუერთდებით იმიტომ, რომ ხელისუფლებამ დატოვოს თავისი თანამდებობა. ეს არის პირველი ეტაპი და შემდეგ შემზადდეს ნიადაგი, რომ რეალური თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს. — განაცხადა შელიამ.

# ოპოზიცია ხელისუფლებამ გახადა რადიკალური

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დოების ნდობა დაკარგული აქვს, ხელისუფლება იმ ზღვრამდეა მისული, როცა დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვას იწყებს. სავარაუდოდ, ეს ასეც გაგრძელდება და ყველა ნიშანია იმისა, რომ ხელისუფლება მორალურად მზად არის, დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდეს. შესაძლოა, საქართველო არაფორმალურ იზოლაციაში აღმოჩნდეს. ანუ დასავლეთი სააკაშვილს მიიღებს, მაგრამ არა როგორც დემოკრატს და დასავლური სამყაროს ოჯახის წევრს, არამედ რიგით დიქტატორს, რომელიც ერთ-ერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანას მართავს.

***— ფაქტია, კრიზისის ზღვარზე ვიმყოფებით. თქვენი აზრით, შექმნილ სიტუაციაში რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ და პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციამ, რომ სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით პროცესებმა უკონტროლო და სახიფათო ხასიათი არ მიიღოს?***

— ყველაფერ ამას ალბათ, ხელისუფლება ხედავს და აანალიზებს. თუ ხელისუფლება სახელმწიფო ინტერესებით იხელმძღვანელებს და იმოქმედებს, მან პრევენციული ზომები უნდა გაატაროს. მაგრამ არა ისე, როგორც ეს 22 მაისს მოხდა, როდესაც ზონდერბრიგადები შეეცადნენ მიტინგის ხელკეტებით დაშლას. თუ ხელისუფლებას უკონტროლო პროცესების თავიდან აცილება უნდა, ხელისუფლებამ დიალოგი უნდა აწარმოოს აქციის ორგანიზატორ ძალასთან. ვიცი, თეორიულად კარგად ჟღერს, რომ საჭიროა დიალოგი და ასე შემდეგ, მაგრამ აქვე ჩემს ზემოთქმულ პოზიციას ვეწინააღმდეგები იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთის მიმართ ჩასაფრებულ პოზიციაში არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორივე მხარე ერთმანეთთან დიალოგს გამორიცხავს. ეს და სხვა ფაქტორები მიუთითებს, რომ კრიზისული ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება.

***— საზოგადოებაში საპროტესტო განწყობები რეალურად არსებობს, მაგრამ ბევრი მიიჩნევს, რომ ე.წ. რადიკალური ოპოზიცია იმ თვალსაზრისით არის ილუზიის ტყვეობაში, რომ მათი დრო არ დამთავრებულა. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— მე ყოველთვის, პირველ რიგში, სახელმწიფო ინტერესებზე ვფიქრობ. ვითარებაში, როცა ყველა ფაქტორი კრიზისის გამწვავებაზე მიუთითებს, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას იმიტომ ეკისრება, რომ ძალაუფლების მატარებელია და აქვს გაცილებით მეტი რესურსი, რომ შეძლოს კრიზისის თავიდან აცილება. მაგრამ, შექმნილ ვითარებაში პასუხისმგებლობა ასევე ეკისრებათ იმ ძალებს, რომლებიც ქუჩაში არიან და იმათაც, ვინც ოპოზიციაშია, საპროტესტო აქციებს მხარს არ უჭერენ და ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების რეჟიმში იმყოფებიან. ამ შემთხვევაში ოპოზიციურ “რვიანს” ვგულისხმობ.

თუ პოლიტიკოსობაზე გაქვს პრეტენზია და შენთვის სახელმწიფო ინტერესები ღირებულია, როცა ქვეყანა კრიზისშია, ვალდებული ხარ, გარკვეულწილად, ჩაერთო პროცესში. როგორ და რა ფორმით, ეს ტექნიკური საკითხებია. ასეთ გამწვავებულ ვითარებაში “რვიანის“ ლიდერები რომ არ ჩანან, შორიდან აკვირდებიან იმას, თუ ვინ დამარცხდება და ფეხი ვის დაუცდება, ჩემი აზრით, მიუღებელია. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ შექმნილ ვითარებაში ყველაზე მეტად შეიძლება ქვეყანას დაუცდეს ფეხი.

**ინტერპრესნიუსი**

## რამდენად სასიამოვნო პიროვნება ხართ?

**ტესტის პასუხებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცით**




1. მშვიდად ხვდებით თქვენთვის არასასიამოვნო ინფორმაციას?
2. თქვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანის განწყობილებას, ვისთანაც ურთიერთობა გაქვთ?
3. შეგიძლიათ თუ არა ღიმილით აარიდოთ თავი უსიამოვნო შეკითხვებს?
4. თუ ამჩნევთ თქვენი მისამართით აღტაცებულ მზერას?
5. მოგწონთ საკუთარი თავის სარკეში თვალიერება?
6. თავისუფლად თუ გრძნობთ თავს უცნობ ადამიანებს შორის?

### პასუხები

**0-2 ქულა:** თქვენ იშვიათად ფიქრობთ საკუთარი თავის შესახებ კმაყოფილების გრძნობით. დარწმუნებული არ ხართ საკუთარ თავში. სცადეთ ოდნავ უკეთ იფიქროთ საკუთარ თავზე და მაშინვე ყველაფერი შეიცვლება

**3-4 ქულა:** თქვენ ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანი ბრძანდებით, განვითარებული გაქვთ საკუთარი ღირსების გრძნობა. არ გსურთ ხასიათის შეცვლა მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანებს ასიამოვნოთ.

**5-6 ქულა:** თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ პიროვნული ხიბლი გაგაჩნიათ და სასიამოვნო ადამიანი ხართ, მაგრამ შესაძლოა ზედმეტად ხართ დარწმუნებული საკუთარ თავში.

**გ. თ.**

## იუმორი



— ახლა რაიმე წიგნს კითხულობ?

— დიახ, ვკითხულობ.

— რომ დაამთავრებ, წამაკითხებ?

— არა, ვერ დავამთავრებ...

***

ორი მელომანი საუბრობს:

— აბა, მითხარი, რით განსხვავდება კლასიკური მუსიკა თანამედროვესაგან?

— კლასიკურს რომ ვუსმენ, მინდა ხმას ავუწიო, თანამედროვეს — დავუწიო...

***

— გუშინ ავტობუსის გაჩერებაზე ნამდვილად გარდამავალი ასაკის მოზარდი დავინახე. ერთ ხელში ჩუპა-ჩუპსი ეჭირა, მეორეში — სიგარეტი...

***

— ჩემი შეყვარებული მობილურ ტელეფონს ჰგავს

— რა, თანამედროვე, მოხდენილი და საყვარელია?

— არა. ფული რომ მითავდება, აღარ მელაპარაკება...

***

— ნასვამმა ქირურგმა ქალს პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაზე უარი უთხრა, გამოუცხადა, ისედაც ლამაზი ხარო...

**გ. თ.**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელი; 2. ტვირთის ასაწევი კიდული მოწყობილობა; 3. ძველი, იშვიათი წიგნებით მოვაჭრე; 4. ფინელი იუმორისტი მწერალი; 5. საქართველოს ეროვნული გმირი; 8. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 9. უბანი ქუთაისში; 12. ამერიკისა და აზიის ტროპიკებში ბინადარი მოკლე ხორთუმიანი გარეული ცხოველი; 14. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 16. საბანკო შეტყობინება.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველოში; 6. ნოდარ დუმბაძის რომანი; 7. ნახშირის სახატავი ფანქარი; 9. სარბოლო, სპორტული ავტომობილი; 10. იტალიური ორცხობილა; 11. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 13. კუთხე საქართველოში; 15. ფილიპინების დედაქალაქი; 17. უნაყოფო, მწირი მიწა; 18. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 19. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 20. იტალიელი კომიკოსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. ენისეი; 4. ბოტეგა; 6. ალბიონი; 9. ხუნდი; 11. „ბენიასა“; 15. რესტორანი; 16. ჟიგოლო; 17. სალამური; 19. არაქისი; 21. რეგენტი; 22. „ხარება“.

**თარაზულად:** 5. ჰელვეცია; 7. ლოსიონი; 8. ატლასი; 10. ბულბული; 12. გესლი; 13. გრემი; 14. ანდერსენი; 18. „არიბა“; 20. „მილანი“; 23. იაზონი; 24. გემა; 25. წალამი; 26. ბონი; 27. სტატუსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. ნეპტუნი; 3. ტარიბანა; 4. აპერიტივი; 5. „სოტბი“; 6. ასკილი; 8. იგუანა; 11. მერკელი; 14. ექსტრაქცია; 15. ჩანადირი; 16. აუდიენცია; 17. ვარძია; 19. ალიანსი; 21. ქინთი; 22. ისტრი.

**თარაზულად:** 1. ანოტაცია; 5. „საბა“; 7. ტრიერი; 9. აპარტამენტი; 10. კამბუზი; 12. ფლორინი; 13. გეიზერი; 16. ავლაბარი; 17. ვატი; 18. ქარვა; 20. ცირეკიძე; 22. ირისი; 23. ქაშმირი; 24. ცენტრი; 25. თუთია.

# ნატომ ტრიპოლი დაბომბა



ნატოს ავიაციამ ქალაქ ტრიპოლიზე მასირებული საავიაციო იერიში მიიტანა. გავრცელებული ცნობების თანახმად, ნატოს ავიაკამპანიის დაწყების შემდეგ ტრიპოლი ასე სერიოზულად ჯერ არ დაუბომბავთ.

სამშაბათს ღამით ტრიპოლიში 12-დან 20-მდე მძლავრი აფეთქება მოხდა. მიმომხილველების ვარაუდით, აფეთქებები ისმოდა კვარტალიდან, სადაც მოამარ კადაფის საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს.

აფეთქებების შემდეგ ტრიპოლის თავზე, ცაში ნატოს თვითმფრინავების ძრავების ხმა ისმოდა.

ლიბიის მთავრობის წარმომადგენელმა მუსა იბრაჰიმმა განაცხადა, რომ თავდასხმის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა და 150 დაშავდა.

მუსა იბრაჰიმის თქმით, თავდასხმების სამიზნეს ლიბიის არმიის მოხალისეთა ქვეგანაყოფის ბარაკები წარმოადგენდნენ, მაგრამ აფეთქებების შედეგად ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა.

საფრანგეთისა და ბრიტანეთის ხელისუფლებმა გაავრცელეს განცხადება კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში ბრიტანეთისა და საფრანგეთის საბრძოლო ვერტმფრენების ჩართვის შესახებ.

ამ განცხადებით ევროკავშირის თავდაცვის მინისტრების შეხვედრის კულუარებში საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ჟერარ ლანგე გამოვიდა.

ბრიტანეთს ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია.

ვერტმფრენებს სამიზნეების უფრო ზუსტად დაბომბვისათვის გამოიყენებენ, რამაც კადაფის რეჟიმზე უფრო ძლიერი ზეწოლა შეიძლება მოახდინოს.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა ბენგაზიში მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატის, ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ჯეფრი ფელტმანის ვიზიტის შესახებ. იგი ლიბიის სახალხო გარდამავალი საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა. ეს საბჭო ლიბიის აღმოსავლეთ ნაწილს აკონტროლებს.

ამ ვიზიტის დროს გამოქვეყნებულ განცხადებაში ვაშინგტონმა კვლავ გაიმეორა, რომ პოლკოვნიკმა კადაფიმ, რომელიც ლიბიის დასავლეთის უმეტეს ნაწილს აკონტროლებს, უფლებამოსილება უნდა მოიხსნას.

**გ. თ.**

# მისურის ტორნადომ გადაუარა

აშშ-ის მისურის შტატის ხელისუფლების განცხადებით, ძლიერი ტორნადოს შედეგად, რომელიც ქალაქ ჯოპლინს კვირას დაატყდა თავს, არანაკლებ 116 ადამიანი დაიღუპა.

ჯოპლინის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ტორნადომ დაახლოებით 1 კმ სიგანისა და 10 კმ სიგრძის ზოლი გააცამტვერა. ქალაქის მეტი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

სამაშველო სამუშაოების ჩატარებას ხელს უშლიდა ძლიერი ქარი და სეტყვა. მისურის შტატის გუბერნატორის, ჯეი ნიქსონის თქმით, იგი იმედოვნებს, რომ სახლების ნანგრევებიდან ცოცხლად გადარჩენილთა ამოყვანა მოხერხდება.

ორშაბათს ჯოპლინში ნანგრევებიდან შვიდი ადამიანი ამოიყვანეს.

ადგილობრივი გაზეთის თანახმად, ტორნადოს შემდეგ სამედიცინო დახმარებისათვის ექიმებს 1150-მა ადამიანმა მიმართა.

სტიქიისაგან დაზარალდა ადგილობრივი საავადმყოფოც და ხელისუფლები იძულებული გახდნენ 100-მდე პაციენტი გაეხიზნათ.

რეგიონში კვლავაც უამინდობაა, უბერავს ძლიერი ქარი, არსებობს გაზით მომარაგების ხაზების დაზიანების საფრთხე, რაც ქალაქში რამდენიმე ხანძრის გაჩენის მიზეზი გახდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ დაზარალებულებს თანაგრძნობა გამოუცხადა.

მისურის შტატის გუბერნატორის, ჯეი ნიქსონის თქმით, უახლოეს მომავალში შტატს სტიქიის ახალი დარტყმები ემუქრება.

სტიქიამ აშშ-ის შუა დასავლეთის სხვა შტატებიც დააზარალა. გრიგალი თავს დაატყდა მინესოტას შტატის ქალაქ მინეაპოლისის ჩრდილოეთ გარეუბანს, სადაც სახლებსა და ავტოფარეხებს სახურავები გადახადა. ხელისუფლების ცნობით, დაიღუპა ერთი ადამიანი, 30-მდე დაშავდა. მიმდინარე წლის აპრილში გრიგალებისა და ტორნადოების შედეგად ალაბამას და კიდევ ექვს სამხრეთ შტატში 350-მდე ადამიანი დაიღუპა.

**გ.თ.**



# ობამამ ლიბიელი ამბოხებულების ლიდერები ვაშინგტონში დაპატიჟა

აშშ-ს მთავარმა დიპლომატმა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ჯეფრი ფელტმანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ობამამ ვაშინგტონში ლიბიელი ამბოხებულების გარდამავალი მთავრობის ლიდერები მათთვის ვაშინგტონში ოფისის გახსნის ცერემონიალზე მიიწვია.

მისი თქმით, ამერიკელები კადაფთან მოლაპარაკებების წარმოებას არ აპირებენ, ოპოზიციის გარდამავალი მთავრობა კი ლიბიელი ხალხის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენლობაა.

**მედიანიუსი**

# კაკა: „ფერგიუსონს ჩემი სწავლება არ სჭირდება“

**28 მაისს, ლონდონის „უემბლიზე“ შედგება, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, სადაც ერთმანეთის პირისპირ „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დადგებიან.**

**დაპირისპირება მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ეპიცენტრშია, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ყველა ჟურნალისტის ინტერვიუ ნებისმიერ ფეხბურთელთან, ეხება თუ არა ეს მატჩი, მაინც ამ შეკითხვით იწყება. ასე მოხდა მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელ ფორვარდ კაკასთან ინტერვიუს დროსაც.**





***— ჩემპიონთა ლიგის როგორი ფინალი გესახებათ?***

— დარწმუნებული ვარ, ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფინალის მომსწრენი ვიქნებით. საერთოდაც, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მორიგი დაპირისპირება ფეხბურთის შემდგომ განვითარებას მისცემს ბიძგს.

***— თქვენმა თანაგუნდელმა იკერ კასილასმა განაცხადა, რომ ლონდონურ ფინალში ლამაზ ფეხბურთს უგულშემატკივრებს და არა რომელიმე გუნდს. თქვენც ანალოგიური პოზიცია გაქვთ?***

— დიახ, მეც მიმზიდველი საფეხბურთო სპექტაკლის მოლოდინით დაველოდები მატჩის დაწყებას. მეგობრები ორივე გუნდში მყავს, ამიტომაც მათ „უემბლიზე“ საუკეთესო თვისებების სრულად წარმოჩენას ვუსურვებ. მოგებით კი, დაე, უძლიერესმა გაიმარჯვოს.

***— პეპ გვარდიოლას გუნდის წინააღმდეგ თამაშის გამოცდილება გაქვთ. რას ურჩევდით „მანჩესტერს“, რათა მან 2 წლის წინანდელი მარცხის რევანში და ჩემპიონთა ლიგის თასი აიღოს?***

— როგორ გგონიათ, სერ ალექს ფერგიუსონს ჩემი რჩევა სჭირდება? შოტლანდიელი სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად და მან უჩემოდაც კარგად იცის, როგორი ტაქტიკით დაუპირისპირდეს „ბარსელონას“. როდესაც „მილანში“ ვთამაშობდი, ფერგიუსონს ჩემი „ოლდ ტრაფორდზე“ გადაბირება სურდა, მაგრამ მაშინ „სან სიროზე“ დარჩენა ვამჯობინე. მანჩესტერელთა მიერ შემოთავაზებული წინადადებიდან ექვსიოდე თვის შემდეგ, ჩემს ტრანსფერზე მადრიდიდან დაუკავშირდნენ. „რეალის“ ხელმძღვანელებმა და მე გადავწყვიტეთ, რომ ჩემი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლა ორივესთვის კარგი ვარიანტი იყო. მილანელებმა ჩემ სანაცვლოდ ხომ 68 მილიონი ევრო მიიღეს.

***— თქვენი აზრი გვაინტერესებს ნური შაჰინსა და მესუთ ოზილთან დაკავშირებით.***

— შაჰინს კარგად არ ვიცნობ. ისევე როგორც თქვენ, მეც შემიძლია ვთქვა, რომ მან „დორტმუნდში“ ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. ვფიქრობ, მისი სახით ძალიან ძლიერ ფეხბურთელი დაგვემატა, რაც „რეალის“ თამაშს კიდევ უფრო სოლიდურს გახდის. ოზილს რაც შეეხება, მის გვერდიგვერდ თამაში უდიდესი სიამოვნებაა. გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე ფეხბურთელია, საიმედო მეგობარიც გახლავთ. ნებისმიერ სიტუაციაში ოზილის იმედი მაქვს.

***— ჟოზე მოურინიომ რომ გკითხოთ, ფერნანდო ლიორენტეს ტრანსფერის განხორციელებას ურჩევთ?***

— ფერნანდო შესანიშნავი ფეხბურთელია და ევროპის ნებისმიერ გრანდს დაამშვენებდა, მაგრამ სადღეისოდ, „რეალი“ კარგადაა დაკომპლექტებული და ჩემი აზრით, ახალი ფეხბურთელის დამატება არ სჭირდება.

***— რას ფიქრობთ „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირებაზე? ოღონდ, საფეხბურთო ასპექტს არ ვგულისხმობ, მადრიდელებმა კატალონელების წინააღმდეგ იურიდიულ დონეზეც ბრძოლა წამოიწყეს.***

— „რეალის“ იურისტებს ხელთ არაერთი დამადასტურებელი ფაქტი აქვთ, რათა სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, ჩვენი სიმართლე თავისუფლად შეგვიძლია დავამტკიცოთ. ამჟამად ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლემიკაა გაჩაღებული, რომელმაც წმინდა საფეხბურთო წრეებში უარყოფითი რეაქცია არამც და არამც არ უნდა გამოიწვიოს. „რეალმა“ ეს პროცესი მთლიანად ფეხბურთისა და მოთამაშეების დასაცავად წამოიწყო.

***— თქვენმა დედამ ამას წინათ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ ლონდონის „ჩელსიში“ გადახვალთ.***

— არც ინგლისში გადასვლაზე ვფიქრობ და არც ბრაზილიაში დაბრუნებაზე. ჩემი ერთადერთი მიზანი მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში მომდევნო სეზონის წარმატებით ჩატარებაა. უკვე ორი წელია, რაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვარ. ძალიან კარგ კოლექტივში მიწევს ცხოვრება და თამაში, ამიტომაც ჩემი სამომავლო გეგმები მხოლოდ მადრიდს უკავშირდება. ისე არც უკვე გასულ სეზონს ვემდური — სამეფო თასი მოვიგეთ, ლა ლიგაში მეორე საფეხური დავიკავეთ, ჩემპიონთა ლიგაში კი ნახევარფინალამდე გავედით. ყოველთვის სითბოთი გამახსენდება „მილანიც“. ამ კლუბის გულშემატკივრებს, მოთამაშეებს და ხელმძღვანელებს დიდ პატივს ვცემ.

**მ. ჟ.**

# ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე სამი რეაქტორის ბირთვული საწვავი გალღვა

იაპონურმა ენერგეტიკულმა კომპანიამ, რომელიც ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი გახლავთ, დაადასტურა ინფორმაცია სადგურის ენერგობლოკში საწვავი ღეროების ნაწილობრივი გალღობის შესახებ.

ტეპკოს ინფორმაციით, ბირთვული საწვავის შემცველი ღეროები ნაწილობრივ გალღვა პირველ, მეორე და მესამე რეაქტორებზე.

მიმდინარე წლის მაისში კომპანიამ გამოაცხადა, რომ წყლის დონე ფუკუსიმას პირველ რეაქტორში ნავარაუდევზე ნაკლები იყო, ხოლო საწვავი ღეროები გალღვა და დამცავი კორპუსის ფსკერზე დაეშვა.

მოგვიანებით გამოითქვა შეშფოთება მეორე და მესამე რეაქტორებზე ანალოგიური სიტუაციის განმეორების შესაძლებლობის შესახებ.



გასულ კვირას პოსტი დატოვა ტეპკოს პრეზიდენტმა მასატაკი სიმიძუმ. მისი გადადგომის მიზეზაც იქცა ზარალი, რომელიც კომპანიამ გასული ფინანსური წლის განმავლობაში განიცადა. ზარალმა 1.25 ტრილიონი იენი, (15 მილიარდ დოლარზე მეტი) შეადგინა.

ეს რიცხვი იაპონიის არაფინანსური სექტორის კომპანიისათვის რეკორდულად იქცა.

მასატაკი სიმიძუს ნაცვლად ტეპკოს სათავეში ჩაუდგა აღმასრულებელი დირექტორი ტოსიო ნისიძავა.

ტეპკოს განცხადებით, ფუკუსიმას რაიონში რადიოაქტიურობის მკვეთრი შემცირება სამი თვის განმავლობაშია მოსალოდნელი, ხოლო ვითარების სტაბილიზებას ექვსი-ცხრა თვე შეიძლება დასჭირდეს.

**გ. თ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს ბატონ ბესარიონ ნაყოფიას შვილის

**მერი ნაყოფიას**

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატი, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბესარიონ ნაყოფიას შვილის

**მერიკო ნაყოფიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 25 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** მეხსიერება **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "დინოზავრების კვალდაკვალ" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** აივანი **00.00** მხ. ფილმი **"დედინაცვალი"** (ჯ. რობერტსი) **02.45** მოამბე **03.05** ევროპული არჩევანი **04.35** ჩვენი ეზო

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **20.00** მხ. ფილმი **"უკეთესი არ არსებობს"** **01.00** მხ. ფილმი **"ნაფიცი მსაჯული"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **1**-ლი ს. **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვმარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.45** შეგირდი **00.15** პოკერ რინგი **01.25** მხ. ფ. **"ტერმინატორი 3"** (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **03.30** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** პულსი **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო"** **12.50** სერ. **"ცნობილი ოჯახები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **19.30** სერ. **"უკვალოდ"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სადვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მონანიება"** **1**-ლი ნ. **13.35** კონცერტი – ანს. "შავნაბადა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფ. **"მაისის თოვლი"** **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"მონანიება"** მე-**2** ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** მოკლ. ფილმი **"ქოლგა"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სუფთა დაფა **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი– ქართული სული

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6768

ევრო — 2,3482

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7043

რუსული რუბლი — 0,0591

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-23, ღამით — 12-15

**დასავლეთ საქართველო,** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-25, ღამით — 13-14

**სამხრეთ საქართველო,** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-21, ღამით — 6-12

## ამინდის პროგნოზი 25 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# თბილისს არვიდას საბონისი ეწვია



გუშინ თბილისში საკალათბურთო სამყაროში ცნობილი ფიგურა — დიდი ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი ჩამოდის. მისი ვიზიტის მიზანი საქართველოში ევროპის ჩემპიონატის პრეზენტაციაა. საბონისი ევრობასკეტ 2011-ის ელჩია და იმ ქვეყნებში დადის, რომლებიც ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობენ. საქართველოში ჩამოსვლამდე არვიდასი სლოვენიაში, ლატვიაში, რუსეთში და სხვადასხვა ქვეყნებში იმყოფებოდა, სადაც საკუთარ ქვეყანაში გასამართი ევროპირველობის პრეზენტაცია მოაწყო.

დაგეგმილია, რომ საბონისი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრსა და ცხადია, კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდება.

დღეს არვიდას საბონისი სასტუმრო „თბილისი მერიოტში" ევრობასკეტ 2011-ის ოფიციალურ პრეზენტაციას მოაწყობს.

საბონისთან ერთად თბილისში ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და სხვა ოფიციალური პირებიც იმყოფებიან.

**მ. ჟ.**

# ვახუშტი კოტეტიშვილის პრემია მეორედ გაიცა



**ეკა ირემაშთვილი**

ცნობილი ქართველი ფოლკლორისტისა და ირანისტის ვახუშტი კოტეტიშვილის პრემია წელს უკვე მეორედ გაიცა. გამომცემლობა „დიოგენემ" ვახუშტი კოტეტიშვილის პრემიის გადაცემის საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის საგამოფენო დარბაზში გამართა.

ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიის გაცემამდე კი, გამომცემლობა „დიოგენემ" წიგნის ახალი მაღაზია გახსნა. „დიოგენე" მწერალთა და მკითხველთა შეხვედრის ადგილია, სადაც გაიმართება ახალი წიგნების პრეზენტაციები, ფილმებისა და სპექტაკლების ჩანაწერების ჩვენება, ლიტერატურული თამაშობები, წარმოდგენილი იქნება როგორც ქართული, ასევე უცხოური გამოცემები. შესაძლებელი იქნება უნიკალური წიგნების შეძენაც. მაღაზიის კლიენტებს გადაეცემათ დაგროვების ბარათი, მოეწყობა ფასდაკლების აქციები: „ერთი წიგნის დღე", „დიოგენეს" ტრადიციული აქცია „მწვანე შაბათი". მაღაზიაში მომხმარებელს შესთავაზებენ ორიგინალურ აქსესუარებს, სუვენირებსა და ხელნაკეთ ნივთებს, რომლებიც წიგნთან იქნება დაკავშირებული, იმოქმედებს სპეციალური პროგრამები ბავშვებისა და უფროსებისთვის.

გამომცემლობა „დიოგენემ" წელს თებერვალში უკვე მეორედ გამოაცხადა კონკურსი პოეზიის ახალგაზრდა მთარგმნელებისათვის და დააწესა ვახუშტი კოტეტიშვილის პრემია თარგმანისათვის ნებისმიერი ენიდან ქართულ ენაზე.

როგორც დასკვნით საღამოზე გახდა


**გაგრძელება მე-10 გვერდზე**



# 16 მაისიდან

# იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 5**

# სერვანტესი

**გაზეთი და წიგნი ერთად**

**8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 25 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **კურო** — საიდუმლოს ნურავის გაანდობთ, არ არის საჭირო. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია თავში არ აგივარდეთ. **ქალწული** — ნუ ენდობით გადაუმოწმებელ ინფორმაციას, არ ღირს ნერვების აშლა. **სასწორი** — სხვის მიმართ მიმტევებელი იყავით, წინ დაგხვდებათ. **ღრიანკალი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მშვილდოსანი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თხის რქა** — გზიდან ვიღაც ჩამოდის, მისი ნახვა გიხარიათ. **მერწყული** — არ აყვეთ პროვოკაციას, თქვენთვის იყავით. **თევზები** — ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს, გადაიტვირთებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. საეკლესიო ლოცვათა და საგალობელთა კრებული; 2. ოქროს ან ვერცხლის ძაფი; 3. მსუბუქი არშიყი, ტრფიალი; 4. შავი ფერის მელას ძველი ქართული სახელწოდება; 6. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 9. სიგრძის საზომი ერთეული; 11. წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 15. მე-11 საუკუნის მონასტერი კასპის რაიონში; 16. მოდელების სააგენტო თბილისში; 17. ძალიან ბნელი ღამე; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. ირანის პარლამენტი; 22. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი.

**თარაზულად:** 5. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 7. მდინარე ამსტერდამში; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 10. დაქირავებული შრომის ფასი, ანაზღაურება; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი; 20. სვანური სახლის ქვედა სართული; 23. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 24. მატყლის სართავი უმარტივესი ხელსაწყო; 25. სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ცენტრი; 26. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი იტალიელი მოტოციკლეტისტი; 27. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

